# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 16 მაისი, 2014 წელი.

№95 (7476)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## არც ერთ მშობელს აღარ უნდა ეშინოდეს, რომ შვილი განათლების გარეშე დარჩება ②



## პროფესორისა და სტუდენტი აინშტაინის დიალოგი ⑨




## ის უშიშარი ბიჭი დათო ნარმანია იყო!.. ④



## აცნობიერებთ თუ არა, რომ თბილისის მერობა უზარმაზარი პასუხისმგებლობაა? ④

## „ბურატინოს მეტი თავისუფლება ჰქონდა პაპა კარლოსგან, ვიდრე ჩვენს მინისტრებს – მათი მწყემსისგან“ ⑤



## „არასერიოზული კაცის“ რეალისტური გეგმა ⑥



კახა კუკავას წინასაა-რჩევნო დაპირე-ბები

## რას აღიარებდა, რაც არ ჩაუდენია! – ამბობს ვიტალი დარასელიას დედა ⑩

## გროზნოდან დევნილი საიხან მუზაევი ქართველ სამართალდამცავებს უპირისპირდება ②

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# არც ერთ მშობელს აღარ უნდა ეშინოდეს, რომ შვილი განათლების გარეშე დარჩება

**ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ექსპო ჯორჯიაში“, სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრისას განაცხადა.**

ღონისძიებაზე, რომელიც ღია კარის დღის სახით ტარდება, ირაკლი ღარიბაშვილმა განათლების საერთაშორისო ცენტრის კონცეფცია წარადგინა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, რაც უფრო მეტი განათლებული და წელგამართული ადამიანი იქნება ქვეყანაში, მით უფრო სწრაფად შეძლებს საქართველო წარმატებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას.

5 წელიწადში ჩვენ გვეყოლება საერთაშორისო განათლების მქონე, მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებსაც, სამშობლოში დაბრუნებულებს, 3 წლის განმავლობაში გარანტირებულად ექნებათ სამუშაო ადგილი სახელმწიფო დაწესებულებებში. ამით მოხდება ძველი და ახალი თაობის გამოცდილების სინთეზი, რაც წაადგება ყველას და საბოლოოდ სახელმწიფოს. მინდა, გითხრათ, რომ უკვე იწყება აქტიური მოლაპარაკებები უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან. ჩვენ ვთანამშრომლობთ შესაბამის საელჩოებთან და ველით სასურველ შედეგებს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობას აქვს დიდი მომავალი. მჯერა, ჩვენ ყველა ერთად, აუცილებლად მივაღწევთ დიდ წარმატებებს, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

* * *

**სასკოლო სახელმძღვანელოები კვლავ უფასო იქნება, — ამის შესახებ საქართველოს განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა. როგორც სანიკიძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, უფასო სასკოლო სახელმძღვანელოების პროგრამა გრძელდება.**

სახელმძღვანელოები საჯარო სკოლებში უფასოდ პირველად გასულ სასწავლო წელს დარიგდა.

ამასთან, იმ წიგნებში, რომლებიც სასწავლო წლის ბოლოსთვის მოხმარებისთვის ვარგისი აღარ იქნება, საფასურის გადახდა არის საჭირო.

# „ქართული ოცნების“ თბილისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების სია ცნობილია



**საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნების“ თბილისის საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატების პროპორციული სია უკვე ცნობილია. სია „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსმა კახა კალაძემ და თბილისის მერობის კანდიდატმა დავით ნარმანიამ მთაწმინდის პარკში წარადგინეს. სიის შემადგენლობა ასეთია:**

**ირაკლი ფავლენიშვილი** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 2. **ნინო გოგუაძე** — „საქართველოს კონსერვატიული პარტია“; 3. **გიორგი ალიბეგაშვილი** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 4. **გიორგი ტყემალაძე** — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; 5. **ნუგზარ მალაღურაძე** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 6. **გულიკო ზუმბაძე** — „რესპუბლიკური პარტია“; 7. **თევდორე კობახიძე** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 8. **გიორგი მუსხელიშვილი** — „თავისუფალი დემოკრატები“; 9. **ირაკლი გვილავა** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო; 10. **ავთანდილ დავითაძე** — „ეროვნული ფორუმი“; 11 **თამარ ტალიაშვილი** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 12. **ხათუნა სამნიძე** — „რესპუბლიკური პარტია“; 13 **მალხაზ მჭედლიშვილი** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო; 14. **ვლადიმერ ძნელაძე** — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; 15 **რატი იონათამიშვილი** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 16. **ქეთევან ჯოხაძე** — „კონსერვატიული პარტია“; 17. **ბესიკ ქარცივაძე** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 18. **გიორგი ახვლედიანი** — „თავისუფალი დემოკრატები“; 19. **ნიკოლოზ დერიუგინი** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 20. **კახა ჩაკვეტაძე** — „ეროვნული ფორუმი“; 21. **ლაშა სამხარაძე** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 22. **დავით სოსელია** — „ეროვნული ფორუმი“. 23. **ირმა ზავრადაშვილი** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“; 24. **ნინელი ფუტკარაძე** — „თავისუფალი დემოკრატები“; 25 **ნელი კობიაშვილი** — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“.

## ◎ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

● მრავალფეროვანია საქართველოს პარლამენტი. — აქ ნახავთ ჩოხოსნებსაც და ჩახოსნებსაც, გეოპოლიტიკოსებსაც და გეიპოლიტიკოსებსაც.

● პრემიერ-მინისტრის თქმით კი, ხელშეკრულებას საქართველო მოაწერს ხელს...

ეს „საქართველო“ გვარია, თუ სახელი? დეპუტატია? მინისტრი? ქართლოს ქართველიშვილი? პრეზიდენტი საერთოდ რაზე აწერს ხელს — მხოლოდ საკუთარი აპარატის ხელფასების უწყისზე?

● მოდი და რუსეთის აგრესიული პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად, ყველამ გადავიპარსოთ თავი. დიდი ამბავი ატყდება მსოფლიოში. შეიძლება სანქციებიც გაამკაცრონ და თუ სხვებმაც მოგვბაძეს — თმის საღებავის, შამპუნის და ა.შ. მწარმოებელი კომპანიები მოლაპარაკებაზე წამოვლენ — ერთხელ გაისროლონ რამდენიმე ათეული მილიარდი ურჩევნიათ, ვიდრე ჩაუწვეთ საქონელი მსოფლიოს მასშტაბით.





● ვაის რო ვერ გავეყარეთ, უის ისე შევეყარეთ!

● გახსოვთ, როგორი მონდომებით ლობირებდა მაშინდელი რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი და დღევანდელი თბილისის მერობის კანდიდატი ნარმანია თვითმმართველობის კოდექსის მეშვიდე კარის იმ რედაქციას, რომელიც მუნიციპალიტეტების რეგიონული გაერთიანების ცნების შემოღებას ეხებოდა, რაც საქართველოში ფედერალური სახელმწიფო მოწყობის საფუძვლებს ქმნიდა? საინტერესოა, თბილისის მერი თუ გახდა, რას უპირებს ქალაქს? თვითმმართველობის კოდექსის მოდელის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ყველა უბანს ეყოლება თავისი წარმომადგენლობითი საბჭო (მაყურებლები), რომელიც იქნება დაკომპლექტებული თვითმმართველობებში არჩეული ადამიანებისგან. ყოველ 1 000 ამომრჩეველზე ერთი ადგილი ექნებათ თვითმმართველობებს უბნის საბჭოში. საბჭო განსაზღვრავს უბნის პრიორიტეტებს, შეადგენს სოცლიალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმას, დაამტკიცებს უბნის ხარჯთაღრიცხვას და ა.შ. „მაყურებლები“ ახალი მოდელის ამოქმედების შემდეგ იქნებიან, როგორც ცენტრალური ხელისუფლების გარკვეული დავალებების შემსრულებლები, ასევე ადგილობრივი უბნელების მიერ განსაზღვრული პოლიტიკის აღმასრულებლები.

● მამუკა ხერხეულიძე დაჭრეს. მარკესიც მოკვდა. მძიმე წელია ძალიან.

● ესე იგი, საფრანგეთის პრეზიდენტს იმისთანა პატივი ვეცით.. აწი პარიზში ორი ბოთლი კონიაკით შეგვიძლია მოვაკვარახჭინოთ ნებისმიერი „სდელკა“.

● ახალაიას ბატონობით მიმართავენ სასამართლოზე? ვაი თქვენს პატრონს!

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

## ◎ სამძიმარი

# თურქეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ თურქეთის საელჩოში გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერები გააკეთეს.**

მათ თურქეთის ელჩს მიუსამძიმრეს და მწუხარება გამოთქვეს თურქეთში, მანისას პროვინციაში, ქალაქ სომას მაღაროში დატრიალებული ტრაგედიის გამო, რომლის დროსაც 282 ადამიანი დაიღუპა.

საქართველოს პროფკავშირების წარმომადგენლებმა მანისას პროვინციაში, სომას დასახლებაში მომხდარი აფეთქების დროს დაღუპული მაღაროელების ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადეს. ამის შემდეგ ისინი თურქეთის საელჩოს შენობაში შევიდნენ და სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთეს.

პროფკავშირების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მაღაროელებს მძიმე პირობებში უწევთ მუშაობა და ეს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო პროფესიაა. პროფკავშირების წარმომადგენლებს ჰქონდათ ტრანსფარანტები, მათ შორის ერთ-ერთ ტრანსფარანტზე აღნიშნული იყო, რომ აღდგეს შრომის სახელმწიფო ინსპექცია.

## ◎ ადამიანის უფლებები

# ჩეჩენი დილემის პირისპირ აღმოჩნდა!

**გროზნოდან დევნილი საიხან მუზაევი საქართველოს კონტრდაზვერვის საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეს ვალერი ზუმბაძეს ზეწოლაში ადანაშაულებს და პარლამენტისგან გარანტიებს ითხოვს, რომ მას რუსულ მხარეს არ გადასცემენ.**

საიხან მუზაევი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, პირად პრობლემაზე სასაუბროდ საქართველოს პარლამენტში გამოცხადდა და ის პლენარული სხდომის დარბაზში, ქართველ კანონმდებლებს ნაციონალმა ირმა ნადირაშვილმა წარუდგინა.

ნადირაშვილის ცნობით, საიხან მუზაევი, რომელიც წლების განმავლობაში დევნილთა სამინისტროში თარჯიმნად მუშაობდა, ამჟამად, მუქარების ქვეშ ცხოვრობს.

დეპუტატის ინფორმაციით, ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით, მუზაევს შესთავაზეს ჩვენება მიეცა, რომ გენერალი ლორთქიფანიძე იყო ლაფანყურის ოპერაციის ორგანიზატორი.

„20013 წლის ოქტომბერში, მუზაევი ახმეტაში იმყოფებოდა. მოულოდნელად მანქანა გაჩერდა და ის უცნობმა პირებმა თბილისში, რუსთაველის 28 ნომერში უშიშროების კონსპირაციულ ოფისში მიიყვანეს. ერთ-ერთმა პირმა მას შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე უხსენა და უთხრა, რომ ლორთქიფანიძე „ფეეს-ბე“-ზე მუშაობს, ჩეჩნები ჩამოუყვანია და მათი ლიკვიდაცია განახორციელა. მუზაევს შესთავაზეს ჩვენება მიეცა, რომ გენერალი ლორთქიფანიძე ლაფანყურის ოპერაციის ორგანიზატორი იყო. ეს ის ლორთქიფანიძე გახლავთ, რომელსაც თავად სახელმწიფო ტერორისტივით მოექცა, სახლთან ბომბი დაუდო და ეს საქმე ჯერ კიდევ არ გახლავთ გამოძიებული“, — აცხადებს ნადირაშვილი.

დეპუტატის მტკიცებით, ჩვენების სანაცვლოდ, მუზაევს მაღალ ანაზღაურებადი სამსახური, ფული და საქართველოში უზრუნველი ცხოვრება შესთავაზეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისგან უარი მიიღეს, მას დაემუქრნენ.

„მას უთხრეს, რომ ძალიან ბევრი პრობლემა შეექმნებოდა. კერძოდ, დააპატიმრებდნენ და „ფე-ეს-ბეს“-ს გადასცემდნენ. მუზაევი დაბეჯითებით აცხადებს, რომ სამი პიროვნებიდან ერთ-ერთი კონტრდაზვერვის საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილე ვალერი ზუმბაძე იყო, რომელიც მას დაემუქრა. როგორც ირკვევა, მუზაევთან რამდენიმე შეხვედრა მოგვიანებით მოდულის შენობაში გაიმართა, სადაც ზუმბაძემ მუზაევს 100-ლარიანი კუპიურების შეკვრა შესთავაზა, რომელიც მას არ აუღია“, — აღნიშნავს ნადირაშვილი, რომლის მონათხრობს ადასტურებს თავად მუზაევი.

**გროზნოდან დევნილი საიხან მუზაევი ქართველ სამართალდამცავებს უპირისპირდება**



გროზნოდან დევნილი პირი აცხადებს, რომ 2013 წლის ოქტომბერში, ის დაკითხვაზე იმ მიზნით გამოიძახეს, რომ გივი ლორთქიფანიძის წინააღმდეგ ჩვენება მიეცა. მუზაევის მტკიცებით, მას ლაფანყურის სპეცოპერაციასთან არანაირი კავშირი არ აქვს, შესაბამისად, ცრუ ჩვენებას ვერ მისცემდა.

„ვფიქრობდი, რომ თავს დამანებებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. სამი უცხო ადამიანიდან, რომლებიც ჩემზე ზეწოლას ახორციელებდნენ, ერთ-ერთი ვალერი ზუმბაძე ამოვიცანი, რომელსაც არაერთხელ ავუხსენი, რომ ლაფანყურის საქმესთან არანაირი კავშირი არ მქონდა და არც ლორთქიფანიძეს ვიცნობდი. იმის გამო, რომ ცრუ ჩვენებას არ ვაძლევდი, მათ მითხრეს, რომ თუკი მათ შემოთავაზებაზე უარს ვიტყოდი, რუსეთის „ფე-ეს-ბე“-ს გადამცემდნენ. მათ თითქმის ყველაფერი გააკეთეს, რასაც დამპირდნენ“, — აცხადებს მუზაევი, რომელიც ირწმუნება, რომ მის მიმართ „მუქარა“ შესრულდა კიდეც.

მუზაევის თქმით, ის სამსახურიდან გამოუშვეს და საქართველოს საზღვრის დატოვების უფლებას არ აძლევენ.

„მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთის სასწავლო ვიზა მაქვს, ლონდონში გამგზავრებას ვერ ვახერხებ. წასვლა მინდა, მაგრამ საზღვარზე აღარ მიშვებენ და ეს უკვე ათჯერ მოხდა. წარმოშობით ჩეჩენი ვარ, უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში ვცხოვრობ, მაგრამ ყურადღებას არავინ მაქცევს არც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია და არც სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი“, — დასძინა მუზაევმა.

მუზაევის პრობლემის შესახებ ინფორმაციას ფლობს ეკა ბესელია, რომელიც for.ge-ს საპასუხოდ აცხადებს, რომ მუზაევის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, მუზაევის განცხადება კომიტეტში 24 თებერვალს შევიდა, რომლის საფუძველზეც ძალოვანი უწყების მიმართ ორი რეკომენდაცია გაიცა.

„შინაგან საქმეთა მინისტრს და პროკურორს რეკომენდაცია მივწერე, რომ ამ საკითხის შესწავლა და იმის გამორკვევა მოხდეს, თუ რა ხდება მოწმესთან დაკავშირებით და ადგილი ჰქონდა თუ არა დაკითხვის დროს რაიმე უფლების დარღვევას?! ძალოვანი უწყებებისგან შუალედური პასუხი მივიღე, რომ ეს საკითხი შესასწავლად გადაცემული შესაბამის სამსახურს აქვს. მათ შორის — სპეციალურ ოპერატიულ სამსახურს. ახლა, პასუხს ველოდებით, რა არის ის კონკრეტული მიზეზები, რის გამოც ამ ადამიანის გადაადგილება არის შეზღუდული“, — აღნიშნავს დეპუტატი.

შს სამინისტროდან როდის მიიღებს პასუხს ეკა ბესელია, ამის პროგნოზი რთულია, მაგრამ მანამდე, 21 მაისს, საიხან მუზაევი ბრიტანეთში გამგზავრებას ისევ შეეცდება და ცნობილი გახდება, მას საქართველოს საზღვრის გადალახვის უფლებას მისცემენ თუ არა.

**თეონა მანაგაძე**

# სწორად და სწრაფად უნდა ვიაზროვნოთ!



**ივნისში, ცხინვალში დე ფაქტო ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნებს ატარებს და სეპარატისტების გარკვეულ ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს, რომ რეფერენდუმიც გამართონ შემდეგ საკითხზე — ე.წ. სამხრეთ ოსეთის „შეერთება“ ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიასთან, ანუ, „ნებაყოფლობით“ შესვლა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში! — კითხვაზე, თუ რა სამართლებრივ საფუძველზე აკეთებენ ამას, პასუხობენ, რომ - ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხალხმა, „თვითგამორკვევის პრინციპზე“ დაყრდნობით უკვე მოიპოვა „დამოუკიდებლობა“ და ეს „დამოუკიდებლობა აღიარა“ რუსეთმა, ამიტომ, მათ უფლება აქვთ გააკეთონ „ნებისმიერი არჩევანი“?!.. მოკლედ, ეს გახლავთ სრული დემაგოგია, ცნებების და ტერმინების არსის აღრევა!**

დიახ, რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობის აღიარების“ და წლეულს ყირიმის მიერთების (ანექსია) შემდეგ, საერთაშორისო სამართალი და ურთიერთობებიც დიდი დარტყმის ქვეშ მოექცა, შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგა და თუ, როგორ წარიმართება რუსეთ-უკრაინის, საქართველოს და მთელი რეგიონის, მეტიც, მსოფლიოს ახლო მომავალი, ძნელი სათქმელია. ამასთან დაკავშირებით, ერთ საკითხზე, მინდა, ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი, რადგანაც, როგორც ჩანს, უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ გარკვეულ ცვლილებებს და სიახლეებს, რომლებიც შეეხება საერთაშორისო სამართალს და საერთაშორისო ურთიერთობებს, რაც პირდაპირ კავშირში იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის (აღდგენა) პრობლემასთან!... მოგეხსენებათ, რომ რუსები, ხშირად აპელირებენ ერის თვითგამორკვევის პრინციპზე, საქართველოს სეპარატისტულ და დღეს, მათ მიერ ოკუპირებულ ავტონომიებთან დაკავშირებით, რაც ოსებმაც და აფხაზებმაც საერთაშორისო სამართლის დამახინჯებით და ინტერპრეტირებით, სათავისოდ „ოსტატურად გამოიყენეს“, ჯერჯერობით... რუსებმა, იგივე გაიმეორეს ყირიმში, „ყირიმელების“ რეფერენდუმით, თუმცა, ყირიმის და ჩვენი რეგიონების „ისტორია“ სხვადასხვაგვარია, ამაზე ქვემოთ...

დღემდე, საერთაშორისო სამართალი ითვალისწინებს ორ ასეთ პრინციპს: „სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობას და ერის თვითგამორკვევას“. რუსები, ყოველთვის ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ საერთაშორისო თანამეგობრობა, მათ უნდათ, რომ მოირგონ „მცირერიცხოვანი ერების მფარველის მანტია“. საქმე ის არის, რომ — ერის თვითგამორკვევა უნდა მოხდეს ამ ერის ისტორიულ ტერიტორიაზე და არა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ეს ხალხი წარმოადგენს ეროვნულ უმცირესობას! — ანუ, ე.ი. ოსი ხალხის თვითგამორკვევა (თუ მათ „ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა“ სურთ!) უნდა მოხდეს მათ ისტორიულ სამშობლოში — ოსეთში, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობს და ამჟამად, ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიას სახელწოდებით რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედის! ოსებს, სრული უფლება აქვთ, რომ ერის თვითგამორკვევის პრინციპიდან გამომდინარე, საკუთარ, ისტორიულ სამშობლოში მოითხოვონ გასვლა რუსეთის ფედერაციიდან! მაგრამ, საქმე ის არის, რომ ოსებმა კარგად იციან, თუ რით დამთავრდა ჩეჩენი ხალხის თვითგამორკვევა, — რუსეთთან ორი ომით და ორასი ათასზე მეტი დაღუპული ჩეჩენით! ამიტომ, ოსებმა, რომლებიც საქართველოს შემადგენლობაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ცხოვრობენ, მოისურვეს, რომ რუსების შეგონებით და დახმარებით, — ოსი „ერის თვითგამორკვევა მოახდინონ“ — საქართველოს სახელმწიფო (ისტორიულ) ტერიტორიაზე!.. 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის მიერ, საქართველოს ორგანული ნაწილის ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის აღიარების“ მთავარი არგუმენტი იყო, — ოსი ხალხის „უფლება თვითგამორკვევაზე“, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს „ტერიტორიული ურღვევობა“, რუსეთმა და ოსმა სეპარატისტებმა უხეშად უგულებელყვეს!..

რაც შეეხება აფხაზეთს. საუკუნეების განმავლობაში აფხაზები და ქართველები აფხაზეთის ტერიტორიაზე ორი ავტოქტონური-მკვიდრი ერებია. არც ერთ ისტორიულ წყაროში არ არსებობს თარიღი, რომელიც მეტყველებდეს იმაზე, რომ ქართველები (მეგრელები, სვანები) მოსულიყვნენ აფხაზეთში, თუმცა, ამ თემაზე მრავალი სპეკულირება ხდება, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება! აფხაზეთში, ქართული ტომები საუკუნეების მანძილზე ყოველთვის სახლობდნენ, აფხაზებთან ერთად! ამიტომ, აფხაზთა „თვითგამორკვევა“ სამართლიანი ვერ და არ იქნება, ვიდრე ქართველი დევნილები არ დაბრუნდებიან საკუთარ სახლებში, რადგანაც აფხაზთა მიერ (რუსების ხელშეწყობით!) ქართველების ეთნოწმენდის პირობებში, მიღებული ცალმხრივი გადაწყვეტილება არ არის ლეგიტიმური! ამასთანავე, აფხაზეთის, ისე როგორც ე.წ. სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაში, რუსეთის და აფხაზი სეპარატისტების მხრიდან უგულებელყოფილია საერთაშორისო სამართლის პრინციპი, — საქართველოს სახელმწიფოს „ტერიტორიული ურღვევობის“ შესახებ! კავკასიაში, აბორიგენობის საკითხში უმძიმესი მდგომარეობა აქვს თავად რუსებს და რუსეთის ფედერაციას. არსებობს უამრავი ისტორიული წყარო, რომლებიც მეტყველებენ იმაზე, თუ როგორ ემზადებოდა რუსეთის იმპერია კავკასიის დასაპყრობად. ისტორიისათვის ცნობილია, საუკუნე, წელი, თვე და რიცხვი, როდესაც რუსული პოლკები შევიდნენ კავკასიელი ხალხებით დასახლებულ აულებში და დაიწყეს მათი უმოწყალოდ განადგურება! კავკასიელ ხალხებს - ადიღეელებს, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, ინგუშებს, ჩეჩნებს, დაღესტნურ ეთნოსებს სრული უფლება აქვთ, რომ მოითხოვონ საკუთარ, ისტორიულ ტერიტორიაზე ერის თვითგამორკვევის პრინციპის განხორციელება!..

ამიტომ, ვფიქრობ, რომ ისტორიულად, სამართლებრივად და ეთნიკური მომენტის გათვალისწინებით, არასწორია უკრაინის პრობლემის, კერძოდ, ყირიმის პრეცედენტის შედარება საქართველოს მხარეებთან —

## მთავარია, ახალი შეცდომები არ დავუშვათ და იმედი არ დავკარგოთ!




**ერის თვითგამორკვევა უნდა მოხდეს ამ ერის ისტორიულ ტერიტორიაზე და არა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე...!**

**არასწორია, ყირიმის შედარება საქართველოს მხარეებთან — აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან!**

აფხაზეთთან და ე.წ. „სამხრეთ ოსეთთან“! მათ „აერთიანებთ“ მხოლოდ ერთი რამ, რუსეთის აგრესია საქართველოს და უკრაინის მიმართ! საქმე ის არის, რომ ყირიმის ნახევარკუნძული უკრაინის „შემადგენელი ნაწილი“ გახდა, — საბჭოთა კავშირის დე ფაქტოდ და დე იურედ არსებობის პერიოდში, ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში! მანამდე კი, ისტორიულად ყირიმი არასოდეს ყოფილა უკრაინის ნაწილი! ყირიმის ნახევარკუნძული, რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა 18 საუკუნეში, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ოსმალეთის იმპერია განდევნა ყირიმიდან! ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის მიუღებელია და არ არის პოლიტიკურ-სამართლებრივად მართებული ყირიმის „ისტორიის და ყირიმული ეთნოსების“ (დღეს იქ ცხოვრობენ — რუსები, უკრაინელები, ყირიმელი თათრები. ყირიმში ეთნიკური შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა) შედარება ჩვენს ქართულ პროვინციებთან და ეთნოსებთან, რადგანაც აფხაზეთიც და ე.წ. სამხრეთ ოსეთიც, ანუ შიდა ქართლი, საუკუნეებია საქართველოს ძირძველი მხარეები გახლავთ!!..

რუსეთის მიერ ყირიმის „მიერთებამ“ (ანექსია), კიდევ ერთხელ ცხადად დაგვანახა, თუ რა უფსკრულის პირას ვართ, მხედველობაში მაქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა, რისი იმედიც ყირიმის მოვლენებამდე მაინც არსებობდა, ახლა კი, არის იმის საშიშროება, რომ რუსეთმა საქართველოს ორი მხარის ანექსიაც მოახდინოს!.. ამიტომ, სწორად და სწრაფად უნდა ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ, რათა ეს არ დავუშვათ და მეტიც, სწორედ შერჩეული სტრატეგიით და ტაქტიკით სასურველ შედეგს მივაღწიოთ... დიახ, „ყირიმამდე“ ქართულ საექსპერტო და პოლიტიკურ სივრცეში განიხილებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ვარიანტი, რომლებიც შეიძლებოდა ნაწილობრივ მისადაგებოდა ამ საკითხის ქართულ პრობლემატიკას... განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, რომლებიც ყველაზე ხშირად არგუმენტებად მოჰყავდათ ქართველ პოლიტიკოსებს და ანალიტიკოსებს. შევეცდები, რომ მეც საფუძვლიანი არგუმენტებით გავაქარწყლო მათი „რეკომენდაციები“. მიმაჩნია, რომ მათ მიერ მოყვანილი მაგალითები საქართველოს გამთლიანებისათვის არ გამოდგება. გასათვალისწინებელია, რომ ამ ქვეყნებმა არჩეული სტრატეგიით მიზანს ვერ მიაღწიეს, ვერც ერთმა — ტერიტორიული მთლიანობა ვერ აღიდგინა!.. გერმანიის გარდა... მაგრამ, გერმანიის შემთხვევაში, მეორე მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად, ეთნიკურად ერთიანი, გერმანელი ერი იყო ორად გაყოფილი გარეშე ძალების მიერ, რომლის საფუძველი „იდეოლოგია“ გახლდათ (გფრ — დემოკრატიული სამყარო და გდრ — საბჭოთა, კომუნისტური ბლოკი) და არანაირი სეპარატიზმი გერმანიაში არ არსებობდა! ქართველებს ხშირად გვავიწყდება, რომ ოსური და აფხაზური სეპარატიზმი, საქართველოში ეთნოკონფლიქტების ინსპირირება და გაღვივება მოხერხებულად გამოიყენა რუსეთმა და დღესაც, სწორედ ამ ხალხების სეპარატისტულ განწყობებზე „დგას“ მათი „დამოუკიდებლობა“ და რუსული სამხედრო საოკუპაციო ბაზები საქართველოს ამ ორივე რეგიონში! დიახ, რუსეთს მათი „დამოუკიდებლობა აღიარებული“ აქვს, რაც ჩვენს მდგომარეობას გაცილებით ართულებს, ვიდრე სხვებისას, ვისაც ჩვენსავით დარღვეული აქვს ტერიტორიული მთლიანობა!.. მავანი უშვებს მძიმე პოლიტიკურ-სამართლებრივ და ისტორიულ შეცდომას, როცა იაპონურ „გამოცდილებას“ ადარებს ქართულს.

საქმე ის არის, რომ იაპონიის მაგალითს თუ განვიხილავთ, იგი ძალიან განსხვავებულია საქართველოსგან, მეტიც, პოლიტიკურად არცაა მათი შედარება მიზანშეწონილი ჩვენთვის და აი რატომ... გავიხსენოთ ის, თუ რა უძღოდა წინ სსრკ-ს მიერ იაპონიისთვის კურილიის კუნძულების „წართმევას“, ეს გახლდათ იაპონიის მარცხი მეორე მსოფლიო ომში, სადაც იაპონია მოკავშირე იყო ფაშისტური გერმანიის და იაპონიის დამარცხებაში (ჰიროსიმა, ნაგასაკი..) მონაწილეობდნენ სსრკ-ის სხვა მოკავშირეებიც (აშშ, დიდი ბრიტანეთი), რომლებიც ომის დასრულებიდან დღემდე ცნობენ კურილიის 4 კუნძულს ჯერ სსრკ-ის, ახლა კი რუსეთის ტერიტორიის შემადგენელ ნაწილად! ისევე, როგორც გაეროს წევრ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა (შეადარეთ, ჩვენი რეგიონების „5 ამღიარებელ“ სახელმწიფოს). თანაც, კურილიის კუნძულებზე სეპარატისტული განწყობების მოსახლეობა ფიზიკურად არ არსებობს და აქედან გამომდინარე, არც რუსეთის მიერ „აღიარებული“ მარიონეტული „სახელმწიფოები“ არ არსებობენ ამ კუნძულებზე!.. აგრეთვე, კუნძულ ტაივანის და ჩინეთის ისტორიაც სულ სხვა ამბავია, რადგანაც მათ შორის პოლიტიკურ-იდეოლოგიური განსხვავებაა და არა ეთნიკური!.. ანუ, აქაც, როგორც გერმანელების შემთხვევაში, ერთი ერია — ჩინელები, — და „არაჩინური“ კუნძული ტაივანი, დროშიც რომ უსასრულოდ გაიწელოს ამ პრობლემის გადაწყვეტა, არასოდეს და ვერასოდეს ვერ გახდება, ჩვენი რეგიონებისგან განსხვავებით (აფხაზი და ოსი ხალხების სეპარატიზმის „გამარჯვების“ შედეგად, დაიცალა ეს მხარეები ქართველებისაგან, — ეთნოწმენდა)!!.. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე წარმოებული პროცესები და სერბეთის ისტორიაც (კოსოვო) განსხვავებულია ჩვენგან, არამარტო კონფლიქტის წარმოშობის და მიმდინარეობის გამო, არამედ, უწინარესად, იმიტომ, რომ, სამწუხაროდ, სერბების მოწინააღმდეგე აღმოჩნდა მთელი ცივილიზებული სამყარო, ევროპა-ამერიკა (კოსოვოს „დამოუკიდებლობა“ 30-მდე ევროპულმა სახელმწიფომ „აღიარა“, ამ მხრივ ჩვენ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ!). გვახსოვდეს, რომ საქართველოს რუსეთთან აქვს „საქმე“, რომელიც ცივილიზებული დასავლეთისგან განსხვავებით თამაშის წესებს ერთპიროვნულად ადგენს და არავის ეპუება (თუ მისი ინტერესების უგულებელყოფა ხდება), რაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა უკრაინის, — ყირიმის ანექსიის მაგალითზე!..

მოკლედ, **ქართველებმა ქვეყნის გამთლიანებისათვის განსხვავებული ალტერნატიული სტრატეგია დროულად უნდა „მოვიფიქროთ“, მთავარია, რომ ახალი შეცდომები არ დავუშვათ და იმედი არ დავკარგოთ!.. ბოლოს და ბოლოს, არც რუსეთია „თვითმკვლელი“ და არც დასავლეთი, საბოლოოდ მაინც მოუწევთ შეთანხმება პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან დაკავშირებით და აქ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ერთ-ერთი მთავარი საკითხი საქართველო გახდეს, — ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი გამთლიანება! დიახ, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება, ოღონდ ამას სჭირდება — საქართველოს ხელისუფლების გონიერი საგარეო პოლიტიკა და ქართველი ხალხის ერთსულოვნება!!!...**



**ჯუმბერ კირვალიძე,**
**პოლიტოლოგი.**

ⓞ აფხაზეთის ომის დღეების გამოძახილი

# ის უშიშარი ბიჭი დათო ნარმანია იყო!..

**ნათელი** იყო: ქართველების გაუტანლობით და არაორგანიზებულობით სოხუმი განწირული იყო. სრულიად ახალგაზრდა ჩანასახში მყოფი ჩვენი არმია მეთოდურად, მაგრამ მაინც ქალაქს სტოვებდა. მე და სვან სნაიპერ ხაბუ მერლანს სარკინიგზო სადგურის სახურავზე გვეკავა საბრძოლო პოზიციები და ყველაფერ ამას კარგად ვხედავდით. სანამ მტერი ქალაქის შემოსასვლელის სამანებს გადმოლახავდა, რატომღაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაყუჩდა, ალბათ სიფრთხილისა და შიშის გამო. შემდეგ ველური ღრიანცელით წამოვიდნენ, წინ, რა თქმა უნდა, „ზე სახელმწიფოს“ არყისგან გალეშილი, ცხვირგაწითლებული არაკაცები მოუძღოდნენ. შემდეგ ცარიზმის პერიოდში ჩარჩენილი კაზაკები, ჩრდილო კავკასიელი აბრაგები და ჩვენი „ძვირფასი ძმები“ ჰაოსები და ალანები. როგორც მტაცებელი სისხლის სუნით აგნებს ნანადირევს, ასევე ეს საშინელი კონგლომერატი გრძნობდა ნადავლის სიახლოვეს და გავეშებული, პირზე დუჟმომდგარი მოიწევდა წინ. რამდენიმე წუთში ჩემმა გულადმა, მარჯვე სვანმა ბევრ გადამთიელს სამუდამოდ მოუსპო გამარჯვების სიხარული და შუბლზე გაუჩინა ახალი ფოსო, მაგრამ სამწუხაროდ ეს ერთეულები იყო. რაც ამ თავზეხელაღებულთა ბრბოს ვერ შეაჩერებდა. ხაბუ გავაფრთხილე, ახლა სწორედ ის დრო იყო, პოზიცია დაგვეტოვებინა და საკუთარ გადარჩენაზე გვეზრუნა, მან კიდევ ერთი გაისროლა, თოფი მიაგდო. მომიბრუნდა და ქვითინით მომმართა: „და ჩემი ქალაქი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, საჯიჯგნად დავუტოვოთ ამ ნაძირლებს, არა, მე აქ უნდა მოვკვდე და დავსაფლავდე, აქედან წამსვლელი არა ვარ“. ძალიან დიდხანს მომიხდა მისი გადარწმუნება, რომ ზოგჯერ უკან დახევა დამარცხებას სულაც არ ნიშნავს და მოვა დრო ჩვენ საყვარელ სოხუმში ისევ დავბრუნდებით.



ფრთხილად ჩამოვედით სახურავიდან და ეზო-ეზო ბაღებზე გავლით ქალაქის აღმოსავლეთ მხარისკენ გავემართეთ. ერთ მომენტში შევჩერდით და მოწინააღმდეგეს რომ არ გავერჩიეთ, მკლავებზე მიკრული განმასხვავებელი თეთრი ნაჭრები მოვიგლიჯეთ. ამ საქმით ვიყავით დაკავებული, რომ ვიღაც ქალმა ატეხა საშინელი ყვირილი: გრუზინი, გრუზინიო! ტყვია დაგვადევნეს, მაგრამ ღვთის მადლით უვნებლად გადავრჩით. ყოველ შემთხვევაში მე ასე მეგონა, შევამჩნიე სვანი საგრძნობლად ჩამორჩა. მხარი შევაშველე, მაგრამ ამან ვერ უშველა, შევატყვე სიარული უჭირდა. მოლზე ფრთხილად დავაწვინე და გულდასმით შევამოწმე. ადვილად მივაგენი მკერდის მარჯვენა მხარეს ჭრილობას. ეტყობოდა ბევრი სისხლი დაეკარგა. როგორც შევძელი, გადავუხვიე და ზურგზე მოკიდებულმა განვაგრძე სვლა. ერთ-ერთ სახლთან შევჩერდი, ვიფიქრე, ოდნავ სულს მოვითქვამ-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ? ეტყობა იქიდან, სადაც ქალმა კივილი ატეხა, მდევარი აგვკიდებოდა და ვგრძნობდი, თავს აღარ დაგვანებებდა. ის იყო იარაღი ფეხზე შევაყენე და მომხდურთა დასახვედრად მოვემზადე, რომ ვიღაც მოზარდი, ასე თორმეტიოდე წლის ბიჭი წინ ამეტუზა და წმინდა ქართულ ენაზე დახმარება შემომთავაზა. დაჭრილი სარდაფში სახელდახელოდ გამართულ საწოლზე დავაწვინეთ. ჭრილობა დავუმუშავე და ბიჭის მიერ მოტანილი ნაჭრებით საიმედოდ გადავუხვიე. ნაჩქარევად, ოდნავ დავნაყრდით და გადავწყვიტე სასწრაფოდ გავცლოდი აქაურობას, რადგან გუმანი მკარნახობდა, მტერი ჩვენ კვალს ადგა. სანამ დავიძვრებოდით პატარა ბიჭმა მოასწრო და მაუწყა: სამეგრელოდან ვარ, აქ სოხუმში მამიდასთან ვსტუმრობდი და ომის გამო ჩავრჩიო. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სოფელი კოკი ახსენა, სადაც მისი ოჯახი სახლობდა. მხურვალედ ვეამბორე ჩვენს გადამრჩენ პატარა დათოს ფართო, ნათელ შუბლზე და ბრდღვიალა მეტყველ თვალებში, მოვიკიდე ზურგზე თანამებრძოლი და უკუნ სიბნელეს მივეცი თავი.

გავიდა ოც წელზე მეტი. აშკარად ვგრძნობ ცხოვრების ფინიშის მოახლოებას. ამჟამად ქვემო ქართლში ვცხოვრობ, თეთრი წყაროს მთიან სოფელში, სისტემატურად ველარ ვაყურადებ პოლიტიკურ მოვლენებს. გულს მიკლავს და აბეზარი ხიჭვივით არ მასვენებს აზრი უცნობი ქართველი ბიჭის შესახებ. მისი თავდადებული საქციელი ხომ ჩემთან ერთად უნდა დასამარდეს.

...აი, ახლა თბილისი საშინელ გაწამაწიას მოუცავს. ქალაქის მერის არჩევნები კარს არის მომდგარი. გულწრფელად ვაცხადებ: ყოველთვის შორს ვიდექი ნებისმიერი პოლიტიკური დებატების და პარტიკულარიზმის ყოველგვარი გამოვლინებისაგან. ამიტომ ძალიან აღმაშფოთა ერთ-ერთი მერობის კანდიდატისთვის იმის დაყვედრებამ, რომ თურმე ის მკვიდრი თბილისელი არ ყოფილა და წარმოშობით პროვინციიდანაა. სწორედ მის ბიოგრაფიულ ცნობებს გვაცნობდა სატელევიზიო გადაცემა. ერთი შევხედე თუ არა, მთელ ტანში ელექტროდენმა დამიარა, ვიცანი! გონებაში ამოტივტივდა სოხუმის მისადგომებთან, ბაღში გათამაშებული მოვლენები. უფალო! შენ დიდებულ სახელს ვეთაყვანე! სამუდამო დასავიწყებლად რომ არ გაიმეტე ცეცხლმოკიდებულ განწირულ სოხუმში პატარა ქართველი ბიჭის დათო ნარმანიას მიერ ჩადენილი გაბედული საქციელი.

**ჯემალ ნოზაძე**

ⓞ ალიან-ჩალიანი

## ცესკომ ამომრჩეველთა მონაცემების დამუშავება დაასრულა

**საარჩევნო ადმინისტრაცია, დღეიდან, ამომრჩევლებისთვის საინფორმაციო ბარათების დარიგებას იწყებს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან აცნობეს, ცესკომ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიწოდებული ამომრჩეველთა მონაცემების დამუშავება დაასრულა (სააგენტომ ცესკოში მონაცემები 1 მაისს წარადგინა). შედეგად, კომისიაში არსებული მონაცემების მიხედვით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 472 772-ს შეადგენს. ამასთან, ვინაიდან, ამომრჩეველთა სიაში კანონმდებლობით განსაზღვრული ცვლილებების შეტანის ბოლო ვადა ჯერ არ ამოწურულა, აღნიშნული მონაცემი დაზუსტდება.**

**— თვითმმართველობის არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ამომრჩევლებს შესაძლებლობა ექნებათ გადაამოწმონ საკუთარი მონაცემები – მათი ნომერი ამომრჩეველთა ერთიან სიაში, რეგისტრაციის ადგილი და რომელ საარჩევნო უბანს უნდა მიაკითხონ ხმის მისაცემად. ამომრჩევლებს საინფორმაციო ბარათებს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები დაურიგებენ, — განმარტავენ ცესკოში.**

ⓞ ამომრჩევლის ტრიბუნა

# აცნობიერებთ თუ არა, რომ თბილისის მერობა უზარმაზარი პასუხისმგებლობაა?

## ღია წერილი თბილისის მერობის კანდიდატებს

**მივესალმები თქვენს გამბედაობას, არჩევნებში ღირსეული გამარჯვების შედეგად დაიკავოთ თბილისის მერის ურთულესი, უკიდეგანო მასშტაბებისა და არაადამიანური დატვირთვის თანამდებობა. ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის, ქვეყანაში უფრო რთული და საპასუხისმგებლო სამსახური არ მეგულება. „ასეა ეს“, და თუ გსურთ, თბილისის მერობის შემდეგ დატოვოთ დედაქალაქის ღირსეული მერის სახელი, მოგიწევთ თავის გადადება და უარის თქმა პირადი ადამიანური ცხოვრების მრავალ საკითხზე.**

**გულახდილად, მამა-შვილურად გეტყვით, რომ თითოეულ თქვენგანს, არასაკმარისი სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, გათვითცნობიერებული არა გაქვთ და არც შეიძლება გქონდეთ, რა მძიმე უღლის დადგმას უპირებთ საკუთარ თავს. ყველა თქვენგანისადმი ჩემი გულწრფელი დამოკიდებულება და თბილისის მერიის სისტემასა და საქართველოს მთავრობაში ხანგრძლივი მოღვაწეობის გამოცდილება უფლებას მაძლევს, ვიფიქრო, რომ თქვენ, ამ ეტაპზე, ჩემი სიფრთხილე ზომაზე მეტად გაზვიადებულად მოგეჩვენებათ, მაგრამ, გავა დრო და ვისაც ამ ტვირთის ზიდვა მოგიწევთ, ბოლოს უეჭველად თავად დარწმუნდებით ამაში.**

ეს შესავლის მაგიერ. ახლა კი, უშუალოდ სათქმელზე. გამოვყოფ მხოლოდ რამდენიმე პრობლემას, რომელთა გადაწყვეტის თაობაზე დადებული თქვენი პირობა, ამ საპასუხისმგებლო არჩევნებში გამარჯვების საწინდარი იქნება.

1. სრულიად საქართველოს და, რა თქმა უნდა, დედაქალქის უმნიშვნელოვანეს გადასაწყვეტ პრობლემად მიგვაჩნია წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მისასვლელი გზისა და მთელი მისი მიმდებარე ტერიტორიის გათავისუფლება ამ ადგილისთვის სრულიად შეუფერებელი საცხოვრებელი სახლების, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ათასი ჯურის სიმახინჯეებისგან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ტერიტორიის უმაღლესი რანგის ბაღნარად გადაქცევა ყველა საღად მოაზროვნე ქართველის ოცნებაა.

2. თავისი მნიშვნელობით, მართლაც რომ უპირველესი პრობლემაა ქართული ენის გადარჩენისთვის ბრძოლა. საკითხი მრავალწახნაგოვანია, რომელსაც თბილისის მერია, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლად ვერ გასწვდება. თუმცა, საქართველოს „კანონი რეკლამის შესახებ“, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, მრავალ კონკრეტულ უფლება-მოვალეობას ანიჭებს, რომელიც თქვენი წინამორბედებისაგან, ანუ ქართული ენის მტრების მიერ, აუნაზღაურებელი, დანაშაულებრივი დამოკიდებულების გამო, თვითდინებაზეა მიშვებული. ასეთი მკაცრი და ამავე დროს ობიექტური შეფასების საფუძველს გვაძლევს, პირველ ყოვლისა, დედაქალაქში გარერეკლამის ყოვლად მოუთმენელი მდგომარეობა და თბილისის მერიის ხელმძღვანელობის მისამართით ჩვენი არაერთი ოფიციალური წერილისა და ათობით პუბლიკაციის მოთხოვნების იგნორირება. **<u>არჩევნებში გამარჯვებულ კანდიდატს, სურვილის შემთხვევაში, ამ მასალებს და სხვა დეტალებს პირადად გაგაცნობთ.</u>**

3. თბილისის მერიის ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი უმოქმედობის გამო, დედაქალაქი გადაქცეულია ნაგვის უზარმაზარ ბუნკერად. ვისაც ეს არ გჯერათ, გთავაზობთ ძალზედ მარტივ წინადადებას. თქვენთვის მოსახერხებელ დროს, თქვენს მიერ წინასწარ შერჩეულ ნებისმიერ უბანში, პირადად დაგარწმუნებთ ჩვენი ნათქვამის ობიექტურობაში. არ დაგზარდებით და თქვენი სურვილის შემთხვევაში, გაგაცნობთ აგრეთვე, მრავალი ცივილიზებული ქვეყნის გამოცდილებას ამ მიმართებით. დარწმუნებული გახლავართ თბილისშიც გაამართლებს სანიტარიული პოლიციის შექმნის იდეა. აღნიშნული პრობლემის ღირსეულად გადაწყვეტის მიზნით, აუცილებელია, დამტკიცდეს სპეციალურ ღონისძიებათა გეგმა, რომლის შესრულების მიმდინარეობას, პირად კონტროლზე აიყვანს უშუალოდ დედაქალაქის მერი!

4. თბილისის ქუჩებში, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ადგილებში, საბავშვო ეტლებისა და ინვალიდთა შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია გატარდეს ოპერატიული ღონისძიებები. ამ მიზნით დედაქალაქის ყველა ქუჩის მიხედვით უნდა დამუშავდეს ჩასატარებელ სამუშაოთა კონკრეტული გეგმა. ამასთან, უმკაცრესი ადმინისტრაციული ღონისძიებები უნდა გატარდეს იმათ მიმართ, რომლებიც ავტომანქანების ჩახერგვით ზღუდავენ ზემოაღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას.

5. ზოგიერთი თქვენგანი აჩქარდა და დედაქალაქი უკვე დაანაგვიანა წინასაარჩევნო სააგიტაციო საშუალებებით. უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს შენობა-ნაგებობების ფასადების, კაპიტალური ღობეების, ელექტროგადამცემი ბოძების, ხეების და ა.შ. დამახინჯება. ამ თვალსაზრისით, ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, რეკორდსმენია ჩვენი სიწმინდის — შოთა რუსთაველის ძეგლისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობის მიმდებარე ტერიტორიები. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო თბილისის მერობის კანდიდატებო, რომ ასეთი ქცევა ძალზე უარყოფითად იმოქმედებს არჩევნებში თქვენი გამარჯვების შანსზე.

6. სპეციალური განსჯის საგანია თამბაქოს მოწევის წესების იგნორირება და მისი შეგნებული და შეუგნებელი რეკლამირება. ამ თვალსაზრისით ჩვენი კონკრეტული წინადადებები არაერთხელ წარვუდგინე დედაქალაქის ე.წ. ხელისუფლებას, მაგრამ, რომ იტყვიან, — „შეაყარე კედელს ცერცვი“.

7. იმისათვის რომ, იცოდეთ, რეალურად რა ხდება ჩვენს ქალაქში, აუცილებელია მერიის ყველა სამსახურში აღადგინოთ მოსახლეობის მიღების, წერილებისა და წინადადებების განხილვის ინსტიტუტების ფუნქციონირება და გააუქმოთ ე.წ. დაცვის სამსახურები, რათა მოსახლეობამ თავისი რაიონისა და ქალაქის მმართველობით ორგანოებში ყოველგვარი საშვის გარეშე მოახერხოს შეღწევა.

***ბატონო თბილისის მერობის კანდიდატებო, თუ გსურთ არჩევნებში გამარჯვება, ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებთან დაკავშირებით სასწრაფოდ გამოაქვეყნეთ თქვენი პოზიციები და მისი უდიდებულესობა — თბილისელები, თავად გადაწყვეტენ ვის დაუჭირონ მხარი.***

კეთილი სურვილებით,

**ანზორ ბაბუხადია,**

**რიგითი ამომრჩეველი.**



**საქართველოს მაღალი დონის ევროპელი ლიდერები სტუმრობდნენ — საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის შემდეგ საქართველოს ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი ეწვია... საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოსადმი და წარმოადგენს ევროკავშირის მტკიცე პოლიტიკური მხარდაჭერის დემონსტრირებას ჩვენი ქვეყნისადმი.**

**ვიზიტების ძირითადი მიზანი საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების, ასევე ევროკავშირთან თანამშრომლობის აქტუალური საკითხების განხილვაა. რა მოლოდინები არსებობს ბოლო დროს გახშირებული მაღალი დონის ვიზიტებიდან გამომდინარე, ამ თემაზე ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო სოსო, თვითონ ფაქტი, რომ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველო განებივრებულია დასავლელი ლიდერების სტუმრობით, როგორ შეიძლება შეფასდეს, ეს რის დემონსტრირებას ნიშნავს?**

— ეს მკაფიო გზავნილია ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რომელშიც ჯერ კიდევ მოიაზრება რუსეთიც, იმის დასტურად, რომ საქართველო წარმოადგენს სერიოზულ ინტერესს ცივილიზებული სამყაროსთვის, ევროკავშირისთვის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგადად, დასავლური ღირებულებების მქონე ქვეყნებისთვის.

ასეთი მხარდაჭერა, ცხადია, შემთხვევითი არ არის — გარკვეული მონანიების ფორმაც აქვს ასეთ ვიზიტებს — უკრაინის შემთხვევაში მათ დააგვიანეს ასეთი ყურადღების დემონსტრირება, და ახლა ცდილობენ, რომ ანალოგიური საფრთხისგან დაიცვან საქართველო, რომელიც ერთხელ უკვე აღმოჩნდა მსხვერპლი ასეთი უყურადღებობისა, 2008 წელს.

**— როგორც ითქვა, ასეთი ვიზიტების ერთ-ერთი მოტივი ასოცირების ხელშეკრულებაცაა, თუმცა, საზოგადოების ნაწილში არსებობს გარკვეული სკეპტიციზმი და ხშირად ისმის კითხვა, რას მოგვიტანს ასეთი ვიზიტები, მაშინ, როდესაც დასავლეთის ლიდერების მხრიდან არ ისმის მკაფიო პასუხები, თუ რა სახის დახმარება შეიძლება მიიღოს საქართველომ?**

— მყისიერი მოლოდინი არის უმეცრება, რაიმე საკითხი საღამოს რომ დააყენო და დილით გადაწყვეტილი დაგხვდეს, მხოლოდ ვნებს ზოგად პერსპექტივას. როდესაც მრავალი ათეული გვერდისგან შემდგარი დოკუმენტი სიღრმისეული წვდომის აუცილებლობა არსებობს, ცხადია, რაიმე ერთი ლოზუნგის გაჟღერება არ არის საკმარისი მთელი ჩვენი საზოგადოების რწმუნებისთვის, რომ ასე სჯობს.

ერთადერთი არგუმენტი, რომელიც, ვფიქრობ, შეიძლება იყოს სანდო, გახლავთ ის, რომ საკუთარ პოლიტიკას რუსეთი არ შეცვლის უახლოესი საუკუნის განმავლობაში. შესაბამისად, იგი დარჩება მუდმივ საფრთხედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი დამოუკიდებლობისათვის.

ასეთი საფრთხე არ მოდის არც ნატოსგან, არც ევროპისა და არც ამერიკისგან; პირიქით, მათ აინტერესებთ ძლიერი, დამოუკიდებელი ქვეყნის დანახვა საქართველოს სახით, რომელიც აღიარებს დასავლურ ფასეულობებს.

ჩვენი გენეტიკური მეხსიერებაც უმალ ევროპული ხასიათისაა, ვიდრე - რუსული. მოწმენი ვართ, რომ უკვე გადაულახავი ზღუდე არსებობს რუსულ და დასავლურ ღირებულებებს შორის და თუ ვერ გამოვიტანთ ცალსახად მკაფიო დასკვნას, ამ ზღუდის რომელ მხარეს აქვს საქართველოს განვითარების მეტი პერსპექტივა, მაშინ არ ვყოფილვართ ღირსი უკეთესი მომავლის.

თუ ისევ რუსეთის ჩექმის ქვეშ არსებობის ტრფიალი სძლევს რაიმე ჯგუფს, რასაკვირველია, მათთან ურთიერთობა აუცილებელია, მაგრამ მათი გადარწმუნების პერსპექტივა ნაკლებია. ასეთები მიისწრაფვიან წარსულისკენ, რომელიც აღარ არსებობს. მოგონებები საბჭოთა კავშირზე უმჯობესია საკუთარ მემუარებში აღვწეროთ, ვიდრე წარმოვიდგინოთ, რომ ის, შესაძლოა, კვლავ რეალობა გახდეს.

რუსეთი უკვე კაპიტალისტური ქვეყანაა, როგორც საბჭოთა კავშირის დროს ამბობდნენ, ასეთ ქვეყნებში ადამიანი ადამიანის მეგობარი და ძმა კი არა — მგელია. დიდი ხანია, ასე მგლებივით ეკიდებიან ერთმანეთს რუსეთშიც. ამიტომ, რაიმე სიკეთე სოციალისტური წარსულისა, დავიწყებულია იმ ქვეყანაში; მით უმეტეს, არანაირი სიკეთე არ იქნება გამეტებული იმ ქვეყნის მოსახლეობის მიმართ, რომლის მხოლოდ ტერიტორია სჭირდებათ მათ.

თქვენ თქვით, რომელი მხარე გვინდა, უნდა ავირჩიოთ — ეს არჩევანი საქართველომ უკვე დიდი ხანია, დააფიქსირა, ეს დადასტურდა ქვეყნის ახალი ხელისუფლების მხრიდანაც და სოციოლოგიური გამოკითხვებიც მიუთითებს, რომ საზოგადოება ირჩევს დასავლეთს. რა აჩენს ეჭვს, რომ კვლავ არჩევანის წინაშე ვართ?

ეჭვს იწვევს არათანაბარი ტერიტორიული კომფორტი ქართული დემოკრატიისთვის. ამ თემაზე დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის კრებულისთვის იქმნება ნაშრომი და მხოლოდ ანონსი შემიძლია, გავაკეთო ამ თემის, ავტორსაც არ დავასახელებ.

პრობლემას ჩვენ ვხედავთ სწორედ განსხვავებულ სტანდარტებში დემოკრატიის მიმართ დამოკიდებულებისა, ურბანულ და პლურალურ საქართველოში. რაც უფრო ნაკლებად თვითკმარია რეგიონი, მით უფრო არაადეკვატურია მისი დამოკიდებულება ევროპული პერსპექტივის მიმართ, რადგან მათ საბჭოთა კავშირის დროს თავი მშიერი არ უგრძნიათ — ეს არის ლოგიკა, სხვა არაფერი.

როგორ მოვახერხოთ, რომ დავეწიოთ დემოკრატიის ევროპულ სტანდარტებს და სოფელსა და ქალაქში იყოს საერთო მიდგომები ამა თუ იმ ფასეულობების მიმართ, ეს არც თუ შორეული მომავლის პრობლემაა, ამ შემთხვევაში არ გამოვიყენებ მოდურ სიტყვას — გამოწვევას, ეს ნამდვილად პრობლემაა და ეს არის მთელი ჩვენი საზოგადოების საზრუნავი.

## „ბურატინოს მეტი თავისუფლება ჰქონდა პაპა კარლოსგან, ვიდრე ჩვენს მინისტრებს — მათი მწყემსისგან“



**— ბოლო პერიოდში საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გაისმა მოწოდებები რუსეთის მიმართ, რომ მოლდოვაში პრორუსული ძალების გააქტიურების ხელშეწყობისგან თავი შეიკავოს. საქართველოს მიმართ დასავლეთიდან მსგავსი განცხადებები ამ ეტაპზე არ მოგვისმენია, თუმცა, საქართველოში პრორუსულ ძალებზე საუბარი სიახლე არ არის, ზოგჯერ გარკვეული ჯგუფების მხრიდან კამპანიური მოქმედებებიც შეინიშნება; როგორ ფიქრობთ, ვისი მხარდაჭერით აქტიურდებიან ისინი დროდადრო?**

— როდესაც ერთმანეთს ემთხვევა რუსული იმპერიული ძალების და ყოფილი ხელისუფლების ინტერესები, მიუხედავად იმისა, დარწმუნებული ვარ, გულწრფელები არიან ნაციონალები, როდესაც საუბრობენ ევროპული პერსპექტივის უპირატესობებზე.

ფაქტი ერთია, შფოთი ქვეყანაში, მით უმეტეს არჩევნების წინ, არის პუტინის და ნაცმოძრაობის ინტერესებში. ამიტომ არის, რომ არ გათენდება დღე, რაიმე ახალი ბრალდება არ წამოაყენონ ახალი ხელისუფლების მიმართ.

ვერ ვიტყვი, რომ ყველა ბრალდება ყალბია, რასაკვირველია, საზოგადოება უნდა იყოს აქტიური და სამოქალაქო სექტორი ასეთ მაგალითს აძლევს ჩვენს საზოგადოებას — ისინი უნდა იყვნენ ყოველთვის საქმის კურსში, რა ტიპის გადაცდომები შეიძლება იყოს საფრთხის მომტანი ხელისუფლების მხრიდან.

მაგრამ, როდესაც ნაცვლად შენიშვნისა, ვცდილობთ, ყველა ცოდვა დღევანდელ ხელისუფლებას გადავულოცოთ, ეს უკვე პოლიტიკური ბრძოლის ელფერს იღებს, რომლის მიზანია, იყოს არეულობა როგორც არჩევნების დროს, ასევე მის შემდეგაც; რადგან მიუხედავად იმისა, რომ ფინალი სხვადასხვა წარმოუდგენიათ კრემლის ჩინოვნიკებს და ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს, ისინი ნებსით თუ უნებლიეთ, ახორციელებენ ერთსა და იმავე ტექნიკურ ნაბიჯებს, რომ არ იყოს ივნისში სიმშვიდე ქვეყანაში, რამაც შეიძლება, დააფიქროს ევროპა კიდევ ერთხელ, სჯობს თუ არ სჯობს, ხელმოწერა ასეთი ხელშეკრულებისა საქართველოსთვის. დაე, ყველა პოლიტიკურმა ძალამ ღიად დააფიქსიროს, რა ურჩევნია, ევროპული და დასავლური დემოკრატია ქვეყანაში თუ საკუთარი თავი უმაღლეს სახელისუფლებო სავარძლებში.

**— ევროპული საბჭოს პრეზიდენტის ვიზიტის ფარგლებში დაანონსებულია, რომ მისი ვიზიტის მიზანია საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების, ასევე ევროკავშირთან თანამშრომლობის აქტუალური საკითხების განხილვა. განსაკუთრებით სტაბილურობისა და უსაფრთხოების ნაწილში საქართველოში საკმაოდ მყიფე მდგომარეობა აქვს. ასეთი ვიზიტები გაგვიწევს რაიმე ტიპის დახმარებას?**

— ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ჩამოვიდნენ, კი ბატონო, თავად გაეცნონ რეალურ ინფორმაციას, რადგან დღემდე ისინი მხოლოდ იკვებებიან ნაცმოძრაობის აქტივისტებისგან მიწოდებული ინფორმაციით. ასეთი ვიზიტები მათვე დაეხმარება რეალობის უკეთესად აღქმაში.

ნურც უსაფრთხოების კუთხით ვიქნებით გულხელდაკრეფილნი, ეს ასე არ გახლავთ და თავისთავად, ქვეყნისთვის უპირველეს საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პრემიერ-მინისტრს არ სურს, დაელაპარაკოს პრეზიდენტს.

ასეთი გაუკუღმართებული დამოკიდებულება ხელისუფლების ორი უმაღლესი პირისა, რომელიც გამოწვეულია კიდევ უფრო გაუგებარი სისტემით ქვეყნის მართვის — კულისებიდან, რასაკვირველია, საჭიროებს, რაც შეიძლება, ხშირად ჩამოვიდნენ მაღალი თანამდებობის პირები ევროპიდან, ამერიკიდან, რომ აქ ყური მაინც მოკრან ქართულ რეალობას და არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ ცალმხრივ ინფორმაციაზე.

ასევე გასათვალისწინებელია ყველა ის ნაბიჯი, რაც დაგეგმილი და ჩაფიქრებული აქვს იმ ძალებს, რომლებიც მოიაზრებიან ანტისახელმწიფოებრივ ძალებად. არ მიმაჩნია, რომ რომელიმე პოლიტიკური ძალა წარმოადგენს ასეთ სუბიექტს, ვგულისხმობ იმ „მეხუთე კოლონის“ რეალურ ამოქმედებას, რომელსაც შეუძლია ასევე მხოლოდ შფოთის სახით ყურადღების გადატანა ჩვენი საზოგადოებისა, ნაკლებადს აქტუალურ საკითხებზე, საინტერესოზე — მაგრამ ნაკლებად აქტუალურზე; რომელსაც შეუძლია, მუდმივი დაპირისპირების რეჟიმის შექმნა თავად საზოგადოებაში იმით, რომ ერთსა და იმავე თემაზე მსჯელობა ყოველღიურად და ყოველ საათში, ყველა მედია საშუალების გამოყენებით, იყოს მხოლოდ შემაფერხებელი საქართველოსთვის ევროპული გზით სიარულის დროს.

**— როგორი პროგნოზი გაქვთ, დალაგდება ურთიერთობები?**

— ურთიერთობების დალაგებას ისტორიულად, საქართველოში ახერხებდა ქართული სუფრა, ეს დალოცვილები ახალგაზრდები ხომ არიან, თითო ჭიქა ღვინის აწევა ხომ შეუძლიათ და იქნებ მარტო დასხდნენ, სუფლიორებისა და მრჩევლების გარეშე და ნახევარი საათი ასე გაატარონ...

დარწმუნებული ვარ, ასეთი ინდივიდუალური პრობლემები იქნება დავიწყებული, მგონი, დროა, პოლიტიკოსებს ჰქონდეთ მეტი თავისუფლება. შედარება რომ გავაკეთოთ, ბურატინოს მეტი თავისუფლება ჰქონდა პაპა კარლოსგან, ვიდრე დღევანდელ მინისტრებს აქვთ მათი მწყემსისგან.

**— მწყემსი ვინ არის, ივანიშვილი თუ ღარიბაშვილი?**

— რაღაცას თვითონ მკითხველიც ხომ უნდა მიხვდეს, ყველაფერს ჩვენ ხომ ვერ ვუკარნახებთ. ვისაც ვინ ეგულება — დაიდონ წინ საქართველოს მოქალაქეთა სია და ყველა მწყემსი თავად მკითხველმა დაასახელოს.

**ლალი ზირაქიშვილი**

◉ ალიან-ჩალიანი

## გახშირდა პირადი მონაცემების შემცველი ელექტრონული ბაზების გაყიდვის ფაქტები

**პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში მოქალაქეთა პირადი მონაცემების შემცველი ელექტრონული ბაზების გაყიდვის ფაქტები გახშირდა.**

**როგორც ინსპექტორის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ერთ-ერთი შეთავაზების თანახმად, 1 400 000 კერძო პირის სახელის, გვარის, დაბადების თარიღის, ტელეფონის ნომრისა და მისამართის ღირებულება 100 ლარს შეადგენს, ხოლო 120 000 კერძო პირის ელ.ფოსტის მისამართის ფასი 70 ლარია. — პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატისადმი მსგავსი ფაქტებით შეშფოთებული მოქალაქეების მიმართვიანობა საგრძნობლად იზრდება. პირადი ინფორმაციის შემცველი მონაცემთა ბაზების ყველა პოტენციური მყიდველი ხდება მონაცემთა დამმუშავებელი, იგი ვალდებულია, დარწმუნდეს მონაცემთა მოპოვება/შეგროვების კანონიერებაში და უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა, მათ შორის მოქალაქის ინფორმირება, მისი მოთხოვნის საფუძველზე მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, უსაფრთხოება და სხვა, — ნათქვამია განცხადებაში.**

**პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოუწოდებს მონაცემთა ბაზების მფლობელებსა და პოტენციურ შემძენებს, პატივი სცენ საქართველოს მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლებას და თავიანთი საქმიანობა განახორციელონ კანონის ფარგლებში.**

# „არასერიოზული კაცის“ რეალისტური გეგმა

## კახა კუკავას წინასაარჩევნო დაპირებები

**– გაიცემა შეღავათიანი სესხები;**
**– მცირე მეწარმეებისთვის დაწესდება ფიქსირებული გადასახადი;**
**– უკანონოდ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდებათ მესაკუთრეებს;**
**– თბილისის ისტორიულ და მწვანე ზონაში აიკრძალება მშენებლობა;**
**– გაფართოვდება საგზაო ინფრასტრუქტურა;**
**– თვითმმართველობებს გადაეცემა მართვაში პოლიკლინიკები, სკოლები, აშენდება ბაგა-ბაღები;**
**– შემცირდება მერიის და საკრებულოს ხელმძღვანელთა ხელფასები, ავტომანქანის და სამივლინებო ხარჯები;**
**– თვითმმართველობებს დაუბრუნდებათ საბიუჯეტო შემოსავლები;**
**– პენსიები გაიცემა სტაჟისა და დამსახურების მიხედვით.**

„არასაპარლამენტო ოპოზიციას“ სხვა დაპირებებიც აქვს და ამომრჩევლისგან მხარდაჭერას ცვლილებების განსახორციელებლად ითხოვს. „თავისუფალი საქართველოსა“ და „მემარჯვენეების“ საარჩევნო ბლოკს ერთ-ერთ დაპირებად უწერია – ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. თუ რატომ? ამის გაგება მარტივია, როცა წაიკითხავთ ინტერვიუს თბილისის მერობის კანდიდატთან **კახა კუკავასთან.**



**– ბატონო კახა, სანამ დაპირებებზე გკითხავდეთ, მინდა, იმ მთავარი თემით დავიწყო, რომელიც დღეს ამ დაპირებებზე მეტად აღელვებს საზოგადოებას. თქვენ არაერთხელ მოგიწიათ ამ თემაზე კომენტარის გაკეთება, მაგრამ მაინც. გულწრფელად გვიპასუხეთ: რატომ ვერ მოხერხდა რეალური ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბება?**

– ოპოზიციური გაერთიანება ნაწილობრივ შედგა. ორმა სუბიექტმა: „თავისუფალმა საქართველომ“ და „მემარჯვენეებმა“ შევქმენით საარჩევნო ბლოკი. ეს ბლოკი ღია იყო სხვა პარტიებისთვისაც, თუმცა, თქვენ იცით, რომ არც ერთი სხვა ბლოკი აღარ შეიქმნა და ცალკე პარტიულ რეჟიმში გადავიდნენ. რატომ გადაწყვიტეს ასე, მათ უნდა ჰკითხოთ.

**– ვკითხეთ, რა თქმა უნდა. მაგალითად, ნინო ბურჯანაძემ თქვა, რომ კახას ვალდებულებები ჰქონია ამომრჩევლის წინაშე, მაგრამ არ ვიცი, ასეთი რა ვალდებულება იყოო?**

– ჩვენ არაერთი განცხადება გავაკეთეთ, მოვაწყვეთ რამდენიმე პრესკონფერენცია, გამოვაკარით სპეციალური დაფაც და ვთქვით, აი, ბლოკი, გაერთიანება საარჩევნოდ, ვისაც უნდა ერთიანობა მოვიდეს და მოაწეროს ხელიო. ქალბატონი ბურჯანაძე კი გვთავაზობდა თავისი პარტიის სახელით გაერთიანებას, თუმცა, თავისიც არა... თქვენ იცით, რომ მან ორი დღის წინათ გააუქმა პარტია, ისევე როგორც პარტია გააუქმა ჯონდი ბაღათურიამ და გაწევრიანდნენ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაში. ათი წელიწადია პოლიტიკაში ვარ და მგონია, ავად თუ კარგად ჩემს სახელსა და რეპუტაციას ვქმნი და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაში გავწევრიანდე?! აი, მაგდენს, ნამდვილად ვერ „დავლევდი“. ბურჯანაძე ითხოვდა ჩვენგან ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაში გაწევრებას, ჩვენ კიდევ საარჩევნო ბლოკის შექმნას ვთავაზობდით. ეს იყო ჩვენ შორის პრინციპული განსხვავება.

**– ასეთი დაქსაქსულობის პირობებში, რა შანსები აქვს ოპოზიციას?**

– ოპოზიცია ვართ ჩვენ – „არასაპარლამენტო ოპოზიცია“. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობასა და ნინო ბურჯანაძის გაერთიანებას ისინი არიან სატელიტები, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ ერთადერთი მიზნით – გაუთეთრონ, ანუ თუ ჟარგონით ვიტყვით, „გაუპრავონ“ არჩევნების შედეგები ხელისუფლებას. ამის კონკრეტული მაგალითები გახსოვთ. „თავისუფალმა საქართველომ“ როდესაც ნაძალადევის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, ვიბრძოლეთ, კბილებით დავიცავით ჩვენი ხმები და ნაციონალური მოძრაობა უკან მოვიტოვეთ, მეორე ადგილი მოვიპოვეთ. ამის საპირწონედ კი ისიც იცით, საპრეზიდენტო არჩევნებზე ნინო ბურჯანაძემ თუ როგორ ჩააბარა უბრძოლველად მეორე ადგილი ნაციონალურ მოძრაობას ისე, რომ ერთი საჩივარიც კი არ დაუწერია 4 ათას საარჩევნო უბანზე. არადა, მანამდე ხმამაღლა ამბობდნენ, ჩვენ ბოლომდე დავიცავთ მოპოვებულ ხმებს, ხელისუფლებას არაფერს დავუთმობთ, ქუჩაში გამოვალთო. თუმცა, როგორც კი ბურჯანაძის ანგარიშზე მილიონი ლარი ჩაირიცხა, გაჩუმდა, არანაირ აქციებს არ ვაპირებთო და ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადება დაიწყეს. მოდით, ვიყოთ რეალისტები, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ და ვთქვათ, ბურჯანაძე იბრძვის მესამე ადგილისთვის, იბრძვის იმისთვის, რომ მიიღოს კვოტა საარჩევნო კომისიაში და საბიუჯეტო დაფინანსება. როგორც ეს მოხდა საპრეზიდენტო არჩევნებზე, ახლაც ისევე გამოცხადდებიან ისინიც და ნაციონალებიც და გამარჯვებას მიულოცავენ ოცნების კანდიდატს. ბრძოლას რაც შეეხება, „ქართულ ოცნებას“ რეალურად ვუპირისპირდებით მხოლოდ ჩვენ. ნახეთ, ცესკოში ჩვენი ბლოკის გარდა ვინმეს თუ აქვს საჩივარი შეტანილი წინასაარჩევნო დარღვევების შესახებ, გადახედეთ, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ვინ ვომობდით – ჩვენ და მემარჯვენეები. სად იყვნენ მაშინ ნაციონალები და ქრისტიან-დემოკრატები?!

**– თუმცა, რასაც ახლა თქვენ ამბობთ ბურჯანაძის წინააღმდეგ, ისინი იმავე ბრალდებას თქვენ გიყენებენ: კუკავა იბრძვის 200 თუ 300 ათასი ლარის დაფინანსების მოსაპოვებლად და არა გამარჯვებისთვისო...**

– ჩვენი კარი ღია იყო ყველასთვის. ვთავაზობდით საარჩევნო ბლოკს, მზად ვართ – ყოველგვარი წინაპირობების გარეშეო, ვამბობდით. ამაზე უარი განაცხადეს... რამე კითხვა კიდევ დარჩა ამის შესახებ? მე მგონი, არა.

**– NDI-ის მონაცემებით თქვენ მესამე ადგილზე ხართ, ენდობით ან ეთანხმებით ამ რეიტინგს?**

NDI-ის მაინცდამაინც არ ვენდობი. როგორც ავადმყოფს აგზავნიან ახტალაში, ტალახს რომ შეეჩვიოს, დაახლოებით იგივე ფუნქცია აქვს ამ ორგანიზაციას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. თუმცა, მე შეგახსენებთ წინა არჩევნებს, სადაც NDI მიწერდა მე-6 ადგილს და 4 პროცენტს, თუმცა, ავიღე მე-2 ადგილი და 17 პროცენტი. წინა ადგილობრივ არჩევნებზე დაგვიწერეს 1 პროცენტი. მაშინ დავენიძლავე ნავაროს და ავიღე 7 პროცენტი...

**– ახლაც შეხვდით ნავაროს, რაზე დაენიძლავეთ?**

– ახლაც ავიღებთ 7-ჯერ მეტს, ვიდრე დაგვიწერეს...

**– და მაინც, რომელი ადგილისთვის იბრძვით?**

– ჩვენი პროგრამა მინიმუმი არის – გავიდეთ მე-2 ადგილზე და გავაგრძელოთ მე-2 ტურში ბრძოლა ოცნების კანდიდატთან. ეს არის ჩვენი რეალისტური გეგმა.

**– მემარცხენე და მემარჯვენე ძალების ერთ ბლოკში გაერთიანება როგორ გავიგოთ?**

– აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა. არავითარი დისონანსი არ არის. ავტორიტარულ ქვეყნებში კოალიცია იქმნება არა იმის მიხედვით, ვინ მემარცხენეა და ვინ მემარჯვენე, არამედ იქმნება „დემოკრატიული ოპოზიცია“. თქვენ რა გგონიათ, როცა ბელორუსში ალიანსი იქმნება, იქ იმას არკვევენ, ვინ საით არის? არის რეჟიმი – არის დემოკრატიული ოპოზიცია. როცა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატია იქნება და მივიღებთ თავისუფალ არჩევნებს, თანასწორუფლებიან გარემოს, მაშინ იდეოლოგიური კონკურენციაც დაიწყება... დღეს ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, იქნება ქვეყანაში ოლიგარქიული მმართველობა თუ ხალხის მმართველობა.

**– ბატონო კახა, ადრე გამოირჩეოდით ანტიდასავლური განცხადებებით. რას მივაწეროთ ახლა თქვენი ევროპისკენ შემობრუნება? ამას წინათ მხარი დაუჭირეთ არასამთავრობოთა აქციას, რომლებიც ასეთი ფორმით გამოხატავდნენ დასავლეთთან ინტეგრაციის სურვილს.**

– არათუ შემობრუნება, მეტსაც გეტყვით, ერთადერთი პოლიტიკური ძალა ვართ, რომელსაც აქვს ევროპული ორიენტაცია. ევროპა თუ ვინმეს მხოლოდ ჰომოსექსუალიზმი ჰგონია, უბრალოდ გაუნათლებლობის ბრალია. ევროპა არის ის, რაც 200-300 წელიწადია ევროპელმა მოაზროვნეებმა შექმნეს – თანაბრად გადანაწილებული ძალაუფლება, თავისუფალი არჩევნები, თავისუფალი ბაზარი, დამოუკიდებელი მართმსაჯულება, ადამიანის უფლებები... ჩვენ ეს სიკეთეები გვიზიდავს. ევროპეიზაციის გზა ამ ინსტიტუტების დანერგვით იწყება და არა ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზებით. ათა თურქმა თავისი ქვეყნის ევროპეიზაცია გარყვნილების დანერგვით კი არ დაიწყო, არამედ დემოკრატიის გაძლიერებით.

**– საარჩევნო გარემო მინდა შეაფასოთ და ის შიდაპოლიტიკური ვითარება, რაც დღეს გვაქვს.**

– საარჩევნო გარემო არის დისკრიმინაციული. მიმოიხედეთ და ნახავთ, ვინ არის ბილბორდზე, ავტობუსზე, ვის აფიშებს ხედავთ... სამ სუბიექტს აქვს ყველაფერი...

**– ოცნებას, ნაციონალებს და ბურჯანაძის გაერთიანებას?**

– დიახ, ოცნებას, ნაციონალებს და ქრისტიან-დემოკრატებს. მათთვის არის რეკლამა უფასო, ბიუჯეტის ფული, საეთერო დრო და ა. შ. დანარჩენებს მათთან გვიწევს დაპირისპირება ჩვენი მწირი სახსრებით, შესაძლებლობებით, ხალხის იმედად. რომელ საარჩევნო გარემოზე არის საუბარი? 15-15 მილიონის უფასო დროს იღებს სამივე სუბიექტი, ხოლო ჩვენ და მემარჯვენეები მივიღებთ 15 ათას ლარს... ეს არის თანასწორობა?

**– ე. ი. ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ნორმალურ საარჩევნო გარემოს. თქვენი აზრით, რატომ, რა აშინებს მას?**

– იმიტომ, რომ მათი რეიტინგი ის აღარ არის, რაც იყო და ეს იწვევს ასეთი სახის ფსიქოლოგიურ ტკივილებს. სხვათა შორის, სააკაშვილსაც თავის დროზე იგივე დაემართა. მას არჩევნების წაგების კი არ ეშინოდა, არამედ არ უნდოდა არჩევნების მოგება ზომიერად. მაგალითად, მერკელი 40 პროცენტს რომ აიღებს, კმაყოფილია. აქ კი გამარჯვება ჰქვია 80 პროცენტს. ეს არის ავტოკრატიული პოსტკომუნისტური ცნობიერება.

**– ადგილობრივი არჩევნები არის ტრამპლინი ხელისუფლებაში მოსასვლელადო, აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. თქვენც ასე ფიქრობთ და ამისთვის ემზადებით?**

– რა თქმა უნდა, ეს არჩევნები მისთვის არის ტრამპლინი, აბა, ხომ არ გგონიათ, იმ დაპირებების შესრულებას აპირებენ, რაც საარჩევნო პროგრამაში უწერიათ...

**– თქვენ შეძლებთ დაპირებების შესრულებას?**

– ჩვენ ზუსტად განვახორციელებთ იმ საარჩევნო პროგრამას, რომელიც დავდეთ. ამის გამკეთებელი ვართ. მე ვარ ის ერთადერთი კანდიდატი თბილისის მერობის კანდიდატებს შორის, რომელიც 7 ნოემბერს ხალხთან ვიდექი, 26 მაისსაც, 9 აპრილსაც, გირგვლიანის მკვლელობის საპროტესტო აქციაზეც... მე იქ არც ნარმანია მახსოვს, არც მელია... და არც სხვა. რომელიმე სადმე მაინც ხომ უნდა გადამყროდა?! ჩვენ ან შევასრულებთ იმ 26-პუნქტიან დაპირებას, ან ამაზე პასუხისმგებლობას მაინც ავიღებთ. გამორიცხულია, ჩვენ ისე ავლაპარაკდეთ, როგორც სააკაშვილმა და ივანიშვილმა მოიგონეს: იცით რა, ამისთვის საჭიროა დრო, ეს არ იქნება პირველ, მეორე და მესამე წელსო... ბოლო ინტერვიუში ივანიშვილმა ისიც თქვა, ოთხი წელიწადი არ ეყოფა ცვლილებებს, 20-წლიანი ფაზა სჭირდებაო. ოცი წელიც დაელოდება კაცი, მაგრამ როცა ასეთ ხალხთან გვაქვს საქმე, შეიძლება მე-18 წელს გითხრან, 20 არადა, 40 წელი ატარა მოსემ უდაბნოში თავისი ხალხიო. ეს არის დაუსრულებელი ტყუილების კასკადი.

**– თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა თქვენ გიწოდათ „არასერიოზული კაცი“.**

– კი, ივანიშვილი არასერიოზულ კაცს მიწოდებს იმიტომ, რომ 7 ნოემბერს რუსთაველზე ბოლი რომ აგვდიოდა, მას სააკაშვილთან „კეისებით“ ჰქონდა მიტანილი ქეში ფული საპრეზიდენტო არჩევნების დასაფინანსებლად.

**– ბატონო კახა, წმინდა სამეურნეო სახის დაპირებების გარდა, თქვენს პროგრამაში უხვად არის პოლიტიკური მომენტები, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენა, ქონების დაბრუნება და სხვა. შეძლებთ ამის შესრულებას, თუკი ხელისუფლებიდან ვერ მიიღებთ მხარდაჭერას?**

– ჩვენ რაც გვჭირდება, ეს არის ხალხის მხარდაჭერა. თუ ჩვენ ხალხის მანდატი მივიღეთ, ოფიციალური ბერკეტების გარეშეც შევძლებთ საქმის გაკეთებას. მაგალითად, ჩვენი პარტიის ინიციატივა იყო დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების დაკანონება. თავიდან თავზე დაგვამხეს ეს კანონპროექტი პარლამენტში, მაგრამ 2007 წლის შემდეგ ხალხის ძალაუფლება რომ იგრძნეს, თვითონ დაიწყეს ამის გაკეთება. აი, ჩვენ რომ მაღალ პროცენტს მივიღებთ, როგორ ხალისით შეასრულებს ირაკლი ღარიბაშვილი ჩვენს პროგრამას, ამას კარგად ნახავს ქართველი საზოგადოება.

**– რა არის თბილისელების უპირველესი პრობლემა?**

– სოციალური მომენტი, სიღარიბე, უმუშევრობა. ის მინიმუმიც კი, რაც იყო ქართული ოცნების დაპირება, ვერ შესრულდა. ეკონომიკური ზრდა არის იმაზე დაბალი, ვიდრე იყო საშუალო 10 წლის მანძილზე, ხოლო უმუშევრობა იმაზე მაღალია, ვიდრე გასულ წლებში. ეს ხომ არ არის ჩემი სტატისტიკა, მათია...

უმუშევრობის დაძლევის პირველი შემაფერხებელი არის მონოპოლიები. უნდა მოხდეს მცირე მეწარმეების ხელშეწყობა და ჩემი აზრით, უნდა დაუწესდეს ფიქსირებული გადასახადი. მეორე – ეს არის ქალაქის დაგეგმარება. ხედავთ, რომ ყოველდღიურად უფრო და უფრო რთული ხდება ქალაქის ქუჩებში გადაადგილება. ასევე ჩვენი ამოცანაა ისტორიულ და მწვანე ზონებში შეწყდეს ყოველგვარი მშენებლობა...

**– ანუ „პანორამა – თბილისის“ მშენებლობა გამორიცხულია?**

– გამორიცხულია. ყველა ის პროექტი შეჩერდება, რომელიც მიმდინარეობს პარკებში, ბაღებსა თუ სკვერებში. პრიორიტეტი იქნება ავტოსადგომის მშენებლობა.

**– წართმეული ქონების დაბრუნებას როგორ აპირებთ?**

– მერიის ბალანსზე რაც არის, კანონიერ მესაკუთრეს დაუბრუნდება. თბილისის ბიუჯეტი 800 მილიონია. ეს დიდი ფულია. ის ძირითადად იხარჯება ხელისუფლების კაპრიზებში. ადრე გიგი უგულავა დადიოდა ლას-ვეგასში, ახლა შიხიაშვილი დაბრძანდება ბრიუსელში. მე-4 წელიწადია თბილისის საკრებულოს დეპუტატი ვარ, მაგრამ არც ერთხელ მივლინებაში არ ვყოფილვარ და არც ერთი თეთრი ამისთვის არ დამიხარჯავს. თუ ჩვენ მოვიგებთ არჩევნებს, თბილისის მერიის და თბილისის საკრებულოს სამივლინებო ფონდის გასწვრივ ბიუჯეტის გრაფაში ჩაიწერება ციფრი – 0. ქვეყნის გარეთ რომ იარონ, ამისთვის არსებობს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სხვა უწყებებს ქვეყნის გარეთ საქმე არა აქვთ. „შოპინგისთვის“ თუ უნდათ წასვლა, წავიდნენ თავისი ფულით! ასეთივე მიდგომა გვაქვს ბიუჯეტის სხვა ბიუროკრატიულ ხარჯებთან დაკავშირებით. მაგალითად, ძვირადღირებული ავტომობილების ყიდვა უნდა აიკრძალოს... ვფიქრობ, რომ ამ ფულით მთლიანად სოციალური პროგრამები უნდა დაფინანსდეს! ჩვენ აღვადგენთ სოციალურ თანასწორობას, მთავარია, მხარი დაგვიჭირონ!

**– გისურვებთ წარმატებებს!**

ესაუბრა
**თეა მოსია**

ვითარება

**მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია იმდენად ანგაჟირებულია და ისე დაუფარავად „თამაშობს“ თავისი მფარველი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ, რომ მისი გამოკვლევის შედეგების გამოცნობა წინასწარვე შეიძლება, მაგრამ ამას ნაღდად ვერ ვიტყვით ახალგაზრდა ადვოკატების ასოციაციაზე, რომლის მიერ ჩატარებული გამოკვლევები პროფესიონალიზმთან ერთად მიუკერძოებულობის მაღალი ხარისხითაც გამოირჩევა.**

**ამ ჯერზე მისი ერთი გამოკვლევის შედეგები გვინდა გაგაცნოთ, რომელიც გახმაურებული ჰოლივუდური ფილმის „აგვისტოს ხუთი დღის“ პრემიერის შემდეგ გამართულ საქველმოქმედო ვახშამზე მიღებული უზარმაზარი თანხის — მილიონი ლარის „გაურკვეველ ბედს“ ეხება.**

„აგვისტოს ხუთი დღის“ თბილისური პრემიერის შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრში გამართულ საქველმოქმედო ვახშამზე (?!), პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტარი კობა ნაყოფია დიდად შეაქო და ქვეყნის უდიდესი სიყვარულით განმსჭვალული გულმხურვალე პატრიოტი უწოდა, რომელიც **„ფილმის გადაღების დროს და მერეც... იყო ყველაფერი“**. არადა, ბატონ ნაყოფიას მოწადინების სხვა მიზეზებზე რომ არაფერი ვთქვათ, ვფიქრობთ, საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ „აგვისტოს ხუთი დღის“ ორი საპროდიუსერო კომპანიიდან ერთ-ერთის, კერძოდ, „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ფილმის“ ერთ-ერთი მეპატრონე... მისი ვაჟიშვილი ნიკოლოზ ნაყოფიაა.

2011 წლის 5 ივნისს ფილმის პრემიერის შემდეგ ოფიციალურ მასპინძლად „დანიშნული“ საქართველოს ბიზნესასოციაციის სახელით რუსთაველის სახელობის თეატრში გამართულ 160 პერსონაზე გათვლილ საქველმოქმედო ვახშამზე დასასწრები ბილეთი 5-დან 10 ათას ლარამდე ღირდა. ამდენი ასე „ჯიბეზე ხელგაკრული“ ხალხისა და უცხოელ სტუმართა დაპურებას, ცხადია, დიდძალი სახსრები სჭირდებოდა, რაც, ბუნებრივია, „პურისჭამის“ გენერალურმა სპონსორმა „საქართველოს ბანკმა“, პლატინის სპონსორმა „რუსთავის აზოტმა“, ოქროს სპონსორებმა „მადნეულმა“ და „კვარციტმა“, ასევე ვერცხლის სპონსორმა „სილქროუდ გრუფმა“ სტატუსისდა მიხედვით გაიყვეს.

თუმცა, საქმე ისაა, რომ, როგორც საქართველოს ბიზნესასოციაციის მიერ 2011 წლის სექტემბერში გამართულ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, **აღნიშნულ საქველმოქმედო ვახშამზე 1,5 მილიონი ლარი შეგროვდა, საიდანაც მილიონი ლარი 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებზე უნდა გადანაწილებულიყო.** დაგვეთანხმებით, რომ ეს უდიდესი სოციალური დატვირთვის მქონე აქციაა, ამიტომაც დიდად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს ბიზნესასოციაციამ რამდენიმე სახელმწიფო სტრუქტურასთან, კერძოდ კი თავდაცვის, შინაგან საქმეთა, ლტოლვილთა და განსახლების, ასევე სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროებთან ერთობლივად, რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ აგვისტოს ომში დაღუპულთა დაახლოებით 400 ოჯახის სია შეადგინა.

ადვილი გამოსაანგარიშებელია, რომ მილიონნახევრიდან მილიონი ლარის ყველაზე თანაბრად გაყოფის შედეგად თითოეულ ოჯახს 25 ათასი ლარი უნდა შეხვედროდა, ხოლო დანარჩენი 500 ათასი ლარის გამოყენებას ბიზნესასოციაცია 2011 წლის მიწურულს დაგეგმილ მორიგ საქველმოქმედო ღონისძიებაზე აპირებდა, რომლის გამართვა ისევ 2008 წლის საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს უნდა მოხმარებოდა. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ზემონახსენებ 2011 წლის სექტემბრის პრესკონფერენციაზე, სხვა ინფორმაციასთან ერთად, ისიც გახდა ცნობილი, რომ **იმხანად დახმარების მიმღებთა სია საბოლოოდ ზუსტდებოდა, რის დასრულების შემდეგ უშუალოდ თანხების გაცემა დაიწყებოდა.**

# „გაურკვეველი ბედის“ ნახევარი მილიონი




დაღუპულთა ოჯახების მიერ დანაპირები თანხის მიღების საკითხით ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის სამართლის ჯგუფი შარშან მას შემდეგ დაინტერესდა, რაც გაირკვა, რომ **ადრესატებს დანაპირები ფული არ მიუღიათ. იმის გათვალისწინებით, რომ „აგვისტოს ხუთი დღის“ პრემიერის შემდეგ რუსთაველის თეატრში ჰოლივუდელ ვარსკვლავთა მონაწილეობით საქველმოქმედო ვახშმის გამართვას, თუ არა ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის ნება, ვერავითარი რაგინდ გავლენიანი ბიზნესასოციაცია ვერ შეძლებდა, სავსებით არგუმენტირებული ეჭვი გაჩნდა იმის თაობაზე, რომ ეს აქცია ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა, ხოლო მიღებული სახსრები ისევ მმართველი პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე დაიხარჯა.** ამიტომ, 2013 წლის ივლისში ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციამ აღნიშნული საქველმოქმედო ვახშამზე შემოსული თანხის ომში დაღუპულთა ოჯახებისთვის მოხმარებასთან დაკავშირებით მასალის მიწოდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წერილობით სთხოვა. მიღებულ პასუხში კი, კერძოდ, შავით თეთრზე წერია: **„აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში რაიმე სახის ინფორმაცია არ მოიპოვება“. მეტიც: „... გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია არ გააჩნია“** — ჯარისკაცური ლაკონურობითა და მოუხეშო სტილით ნათქვამია ალასანიას უწყების პასუხში. ასევე „აზრზე არ არიან“, თუ სად გაქრა საქველმოქმედო თანხა ჯანდაცვისა და შს სამინისტროებშიც.

სრულიად გაურკვეველია თავად საქართველოს ბიზნესასოციაციის პოზიციაც, რომლის წერილში, კერძოდ, ცოტა არ იყოს, რამდენიმე უცნაური პასაჟია: **„საქართველოს ბიზნესასოციაციის ეგიდით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად რაიმე საქველმოქმედო აქცია არ განხორციელებულა. ...2011 წლის 5 ივნისს გამართული საქველმოქმედო ვახშმის მიზანი გახლდათ 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომში დაღუპული სამხედრო და სამოქალაქო პირების ოჯახებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა, მიუხედავად მათი სტატუსისა და საცხოვრებელი ადგილისა“. ...„აღნიშნული საქველმოქმედო აქციის ფარგლებში საქართველო-რუსეთის ომში დაღუპულთა ოთხასამდე ოჯახს თანაბრად გაუნაწილდა ერთი მილიონი ლარი“ (?!).**

ამაზეა ნათქვამი, — ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო! არადა, ვთქვათ, მილიონი ლარი ხალხს ოჯახების სტატუსების და საცხოვრებელი ადგილისდა მიუხედავად მართლაც გაუნაწილდა, მაგრამ იმ ნახევარი მილიონი ლარის ბედიც ხომ საინტერესოა, ბატონებო?

**ოთარ ტურაბელიძე**

მკვახე შეძახილი

# „სიცილით კვდება ჯალალედინი“...

**თითქოს ახალი არაფერი უთქვამს გოგი ქავთარაძეს პარლამენტის გუშინწინდელ სხდომაზე ერთმანეთის შეურაცხყოფის, ერთმანეთის თათხვის გამო, რაც ჩვენი ყოველდღიურობის ნორმა გახდა პარლამენტში თუ სხვა ღონისძიებების მიმდინარეობისას. „უმრავლესობა“ და „უმცირესობა“, „ნაციონალები“ და „მეოცნებენი“, ერთ გადაბრუნებულ სიტყვას რომ არ პატიობენ ერთმანეთს.**

**გამოვიდა გოგი ქავთარაძე — ჩვენი ცნობილი მსახიობი და რეჟისორი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, გამოვიდა და იმით დაიწყო, რომ ვერ შევრიგდებით ჩვენო, ასე როგორ შეიძლება, სულ აღარ ვუთმობთ ერთმანეთს არაფერსო, ასე მოვდივართ რა ხანია, შეურაცხმყოფელ სიტყვებს არ ვაკლებთ ერთმანეთს, ამას უსმენს და უყურებს მთელი საქართველო და, ერთი მითხარით, რა იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს ჩვენიო. ეტყობა, ვერ დავძლევთ ჩვენ ამ სენს, ეტყობა, ვერ შევრიგდებითო...**

**მე ერთი მაინტერესებს: ტელეეკრანებით გვინახავს, მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში პარლამენტის სხდომაზე გაწევ-გამოწევაც არის, დაკა-დაკაც არის, მაგრამ, დავიჯერო, რომ ეს უკურნებელი „ქართული სენი“ „უმრავლესობისა“ და „უმცირესობის“ გულღრძოობა, დაუნდობელი შეურაცხყოფა, იქაც, იმ ქვეყანებშიც ამ დონეზეა?!.**

**თუმცა, რა ჩვენი საქმეა, სად, როგორ მუშაობენ პარლამენტარები?! ჩვენ რა ვუყოთ, ბატონებო, ამ ერთ ბეწო ქვეყანას, რომელიც ოდითგანვე ქართველების ერთმანეთისადმი შურმა და გაუტანლობამ დაამცრო და უსაშველო სჭირს დღესაც?!**

**რა ხდება, პატივცემულო პარლამენტარებო?! „ნაცებო“, იმის გამო, რომ დამარცხდით და სხვა პარტიაა ამჯერად ქვეყნის მმართველი და ხელისუფალი, ვეღარ უნდა მოვინელოთ?! საქვეყნო საქმეებზე ერთად არ ვიფიქროთ?!**

**ნუ ვაღვივებთ, ბატონებო, საქართველოს დამაქცევარ უძველეს სენს — მოძმეთა შურსა და გაუტანლობას, რაც, ყველა ვგრძნობთ და ვხედავთ, საერთო საქმეს უსაშველოდ აფუჭებს! ისევ მოვიხმობ მუხრანს:**

**„კმარა, გვიანღა იქნება მერე! —<br>გვიახლოვდება, ვხედავ, წერტილი..<br>და საქართველოს უკვდავი მტერი —<br>სიცილით კვდება ჯალალედინი“.**

**დავფიქრდეთ! დავფიქრდეთ! ვაჯობოთ საკუთარ თავს, რომ ამ ბედკრულ ქვეყანას, „პოზიცია“-„ოპოზიციის“ კამათით, ოღონდ, ჯანსაღი კამათით, სასიკეთო და სასარგებლო საქმენი შევძინოთ!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

ალიან-ჩალიანი

### ამერიკისმცოდნეობის საერთაშორისო კონფერენცია უნივერსიტეტში

**თსუ-ში ამერიკისმცოდნეობის XV ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აცნობეს, ამერიკისმცოდნეობის მეთხუთმეტე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, თემაზე: „შეერთებული შტატების პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპაში“. ღონისძიებას თსუ-ს რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი დაესწრნენ.**

**თსუ-ს რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულად იქცა კვლევები, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს შეისწავლის.**

**— კონფერენცია ყოველწლიურად ტარდება. ეს არის ტრადიცია, რომელიც უკვე ღრმად გაჯდა უნივერსიტეტის ფესვებში და ჩვენი პროფესურა და სტუდენტები მასში ინტენსიურად მონაწილეობენ. კონფერენციის მხარდამჭერია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო და ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს თანამშრომლობა მომავალშიც წარმატებით გაგრძელდება, — დასძინა პაპავამ.**

**საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხედავენ საქართველოში ამერიკის შეერთებულ შტატებს.**

**კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები, ძირითადად, მოიცავს ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე, ლათინური ამერიკისა და კანადის ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, მეცნიერების, კულტურის, განათლების, რელიგიის, ქართულ-ამერიკული ურთიერთობის, ამერიკაში ქართული იმიგრაციისა და სხვ.**

### სასჯელაღსრულების სამინისტროში სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო.**

**ამის შესახებ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:**

**— სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ადასტურებს, რომ მიმდინარე წლის 7 მაისს სამინისტროში მიღებულ იქნა სახალხო დამცველის მომართვა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებისთვის დაბრკოლების ხელოვნურად შექმნის შესახებ. აღნიშნული მომართვის საფუძველზე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის დავალებით, სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სამსახურებრივი შემოწმება დაიწყო. შემოწმების დასრულების შემდეგ, შესაბამისი დასკვნა ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის, — ნათქვამია განცხადებაში.**

### კონცერტი ქართველი სამხედროებისთვის

**ცნობილმა ქართველმა პიანისტებმა ლექსო თორაძემ და ედიშერ სავიცკიმ ქართველი სამხედროებისთვის ბათუმში კონცერტი გამართეს.**

**ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართულ ღონისძიებაზე ცნობილმა პიანისტებმა საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო-სასულე ორკესტრის თანხლებით დაუკრეს. დასს დირიჟორობა უფროსმა ლეიტენანტმა კობა მერმანიშვილმა გაუწია.**

**ღონისძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე მეუღლესთან ერთად და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები დაესწრნენ. კონცერტზე იმყოფებოდნენ ასევე, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ძალების დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეები და დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი ბესიკ გოფოძე.**

**საღამო „ჯარის მეგობართა საზოგადოების“ პროექტის ფარგლებში გაიმართა. დაგეგმილია სამხედრო-სასულე ორკესტრის კონცერტები ლექსო თორაძისა და ედიშერ სავიცკისთან ერთად, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ და თბილისის რუსთაველის აკადემიურ თეატრებში.**

ინტერპრესი

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო და მოლდოვა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას მოაწერენ ხელს

## ევროსაბჭოს პრეზიდენტი ჰერმან ვან რომპეი საქართველოს ესტუმრა

**საქართველო და მოლდოვა ხელს მოაწერენ შეთანხმებას ევროკავშირთან ასოცირებიის შესახებ 27 ივნისს ბრიუსელში. ამის შესახებ ცნობილი გახდა საქართველოში ევროკავშირის პრეზიდენტის ჰერმან ვან რომპეის ვიზიტის დროს.**

შეგახსენებთ, რომ ნოემბრის ბოლოს „აღმოსავლური პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე საქართველომ და მოლდოვამ მოახდინეს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება და გააფორმეს შეთანხმება ვაჭრობის თავისუფალი და ყოვლისმომცველი ზონის შესახებ. ამრიგად, ინტეგრაციული პროცესის წინასწარი სტადია უკან დარჩა. შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერები ევროკავშირის ქვეყნებთან იგეგმებოდა 2014 წლის სექტემბერში, მაგრამ საქართველოსთან და მოლდოვასთან შეთანხმებების ხელმოწერის ვადები დაჩქარდა უკრაინის კრიზისის შემდეგ, რომელიც დაიწყო მას შემდეგ, რაც იანუკოვიჩის მთავრობამ შეაჩერა უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მომზადების პროცესი.



**„ჩვენ ხელს მოვაწერთ შეთანხმებას ბრიუსელში 27 ივნისს ევროკავშირის სახელმწიფოებისა და მთავრობების ხელმძღვანელებთან ერთად. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა აღნიშნავს ახალი ეტაპის დაწყებას ჩვენს ურთიერთობაში და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში... ხელშეკრულება ასოცირების შესახებ— ეს როდია ჩვენი თანამშრომლობის უკანასკნელი მიზანი",** — განაცხადა რომპეიმ 14 მაისს თბილისში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთობლივ კონფერენციაზე.

ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ევროინტეგრაცია „ქვაკუთხედია ჩვენი როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკისა".

**„ასოცირების პროცესი მეტად შრომატევადია და ითვალისწინებს ფართომასშტაბიან რეფორმებს. ამიტომ ჩვენ მზად ვართ, გავაძლიეროთ ჩვენი მცდელობა ამ მიმართულებით",** — განაცხადა ღარიბაშვილმა და მოუწოდა ევროკავშირს რეგიონში რთული მდგომარეობის ფონზე „უფრო აქტიურად" გამოხატოს თავისი მხარდაჭერა აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნების მხარდასაჭერად, რომლებმაც ევროპული არჩევანი გააკეთეს.

**„ევროპის თავისუფალი, ერთიანი და მშვიდობიანი პროექტი ჯერ არ შემდგარა. და ჩვენ ველოდებით, რომ ერთიანი, ძლიერი და წარმატებული ევროკავშირი აქტიურ როლს შეასრულებს ამ მიზნის მიღწევაში",** — განმარტა საქართველოს პრემიერმა.

რომპეი, თავის მხრივ, დაგვპირდა, რომ ევროკავშირი „მტკიცედ იდგება საქართველოს გვერდით" ასოციაციის შესახებ შეთანხმების განხორციელების გზაზე და დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა ევროკავშირის მხრიდან. როდესაც კომენტარს უკეთებდა სიტუაციას უკრაინაში, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა დაადასტურა ევროკავშირის მზადყოფნა გააფართოოს სანქციები რუსეთის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი გააგრძელებს სიტუაციის დესტაბილიზაციას.

## უფლება ხელმოწერაზე

**ეჭვი და დავები გამოიწვია პრემიერ ღარიბაშვილის კომენტარებმა იმის შესახებ, თუ საქართველოს სახელით ვინ მოაწერს ხელს შეთანხმებას ევროკავშირთან ასოცირების შესახებ. ერთი ჟურნალისტის შეკითხვას, რომელიც მან დასვა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე, დეტალების დაუზუსტებლად, ღარიბაშვილმა უპასუხა, რომ შეთანხმებას ასოცირების შესახებ „ხელს საქართველო მოაწერს".**

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის სახელისუფლებო უფლებამოსილებანი 2013 წლიდან შემცირდა და მთავარი ფიგურანტები გახდნენ პრემიერი და ქვეყნის პარლამენტი.

ეს კომენტარები, რომელიც ღარიბაშვილმა მისცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და ოპოზიციას, იძლევა იმის საფუძველს, რომ ხელშეკრულებას ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელს მოაწერს არა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, არამედ თავად პრემიერ-მინისტრი. ეს კი, ოპოზიციური პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თანახმად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. შეგახსენებთ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომლის ლიდერიც ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია, არაერთგზის სდებდა ბრალს მმართველ კოალიციას და მის ლიდერს, ამჟამად ექსპრემიერ, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილს მოსკოვთან ურთიერთობებში და სურვილში — შეცვალოს საქართველოს საგარეოპოლიტიკური კურსი ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმის გზით.

**„სახეზეა კონსტიტუციის დარღვევა, უკეთეს შემთხვევაში უცოდინარობის გამო, ანდა საშინაო ინტრიგებისა და დაპირისპირებების გამო, თუმცა, პრობლემა ისაა, რომ, შესაძლებელია, ივანიშვილი ამას აკეთებს გამიზნულად, და გარკვეული დროის შემდეგ ღარიბაშვილის ხელმოწერას შეთანხმების ქვეშ ასოცირების შესახებ აღიარებენ არალეგიტიმურად, და თავად შეთანხმება გაუქმდება",** — განუცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" გიორგი ბარამიძემ.

აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოს ერთ-ერთი ტელეარხისთვის მიცემულ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა თავისი გაწბილების შესახებ გიორგი მარგველაშვილთან დაკავშირებით, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა სტატიები დაპირისპირების არსებობის შესახებ მმართველ კოალიციაში. კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანახმად, ამჟამად საქართველოს პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის პიროვნებები არიან, არ არსებობს კომუნიკაცია.

თავად ბიძინა ივანიშვილმა თებერვალში აღიარა, რომ მას დიდი ხანია, არ ჰქონია ურთიერთობა მარგველაშვილთან, რომელსაც საარჩევნო კამპანიის დროს „ინტელექტუალს", „წესიერ კაცს" და თავის მეგობარს უწოდებდა. ამავე დროს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ბიძინა ივანიშვილის განცხადებების თანახმად, მას ძველებურად ძალიან ახლო ურთიერთობები აქვს ღარიბაშვილთან. ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ამტკიცებს, რომ პრემიერი ღარიბაშვილი მართლაც არ ღებულობს გადაწყვეტილებებს ბიძინა ივანიშვილთან კონსულტაციების გარეშე, და რომ გადამდგარი ივანიშვილი ძველებურად ხელმძღვანელობს საქართველოს კულისებიდან.

მმართველ კოალიციაში უარყოფენ ოპოზიციის ბრალდებას და აცხადებენ, რომ იმას, თუ კერძოდ, ვისი ხელმოწერა ექნება ევროკავშირთან ასოციაციის შესახებ ხელმოწერას, არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მათი სიტყვებით, იმდენად, რამდენადაც საქართველოს მთავრობა კისრულობს პასუხისმგებლობას შეთანხმების იმპლანტაციის შესახებ, ხელი შეთანხმებას შეიძლება, მოაწეროს საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელმაც — პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მთავარია, ამბობენ მმართველ კოალიციაში, რომ საქართველო დგამს ევროკავშირთან დაახლოების კიდევ ერთ ნაბიჯს. ანალოგიური განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ვანო მაჭავარიანმაც.

## საგარეო და საშინაო გამოწვევები

**თავისი გამოსვლის დროს ჰერმან ვან რომპეი ასევე შეეხო გამოწვევების თემას, რომლებიც შეიძლება გაჩნდეს ევროინტეგრაციის დროს, მათ შორის, მისი სიტყვებით, ეს შეიძლება შეეხოს საქართველოს უშიშროებასაც.**

**„მაგრამ თქვენმა ქვეყანამ იცის, თუ როგორ გაუძლოს ამ ზემოქმედებას. თქვენ იმყოფებით საუკეთესო პოზიციაში იმისთვის, რომ ასეთი რისკები არ გაჩნდეს... ძალადობა არ არის ძალის მაჩვენებელი. ნუ გახდებით მსხვერპლი იმათ ხელში, ვისაც სურს „გაყოს და იბატონოს"... თქვენი ყველაზე დიდი ძალა ცხოვრების თქვენი წესია თავისუფალ საზოგადოებაში",** — განაცხადა რომპეიმ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირთან დაახლოება „არ უნდა განვიხილოთ, როგორც უარის თქმა ახლო ურთიერთობებზე სხვა პარტნიორებთან".

**„ეს არ უნდა განვიხილოთ, როგორც თამაში „ნულოვან თანხასთან". რუსეთი მეზობელია. მაგრამ კარგი მეზობლები პატივს სცემენ ერთიმეორის საზღვრებს. ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა სტაბილურობის წინაპირობაა როგორც აქ, ისე ევროპის სხვა ადგილებში... შეთანხმება ასიგნაციის შესახებ, თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტთან ერთად, სავსებით შესათავსებელია წარმატებულ ვაჭრობასთან კავკასიის მასშტაბით",** — განაცხადა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტთან.

როდესაც საშინაო გამოწვევებზე საუბრობდა, ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროსაბჭო თვალყურს გაადევნებს, თუ როგორ ხდება დემოკრატიულ ღირებულებათა დაცვა საქართველოში.

**„ეს შეეხება სასამართლოს დამოუკიდებლობას, უდანაშაულობის პრეზუმფციის პატივისცემას, პლურალიზმსა და ბრძოლას არასათანადო მიმართვის წინააღმდეგ. ეს ასევე შეეხება ურთიერთობებს ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის, სადაც არ იქნება პოლარიზაცია",** — განაცხადა რომპეიმ.

საქართველოს პრეზიდენტთან გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ ჰერმან ვან რომპეიმ დაასრულა საქართველოში ორდღიანი ვიზიტი. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტი თბილისში ჩამოვიდა უკრაინასა და მოლდოვაში ვიზიტების შემდეგ.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**ინდოეთში 35-დღიანი არჩევნების შემდეგ ხელისუფლება ნაციონალისტებზე გადადის**

ქვეყნის ისტორიაში ყველაზე სკანდალური და ძვირადღირებული საარჩევნო კამპანიის ოფიციალურ შედეგებს 16 მაისს გამოაქვეყნებენ, თუმცა, ეგზიტპოლების მონაცემები გვიჩვენებენ ოპოზიციური ინდოეთის სახალხო პარტიის დამაჯერებელ გამარჯვებას, რომლის ლიდერსაც აუკრძალეს ამერიკის შეერთებულ შტატებში შესვლა. ექსპერტები გვპირდებიან რუსეთ-ინდოეთის ურთიერთობების აქტივიზაციას.

* * *

**სისხლიანმა ანტიჩინურმა დარბევებმა ვიეტნამში საფრთხის ქვეშ დააყენეს ამ ქვეყანაში უცხოური კომპანიების არსებობა**



ვიეტნამელმა მუშებმა, რომლებიც გაღიზიანებული არიან ჩინეთის ხელისუფლების მოქმედებებით, დაარბიეს რამდენიმე სამრეწველო ზონა ცენტრალურ რეგიონსა და ქვეყნის სამხრეთში. თანაც, ვიეტნამელთა მსხვერპლები გახდნენ არა მარტო ჩინური, არამედ სხვა უცხოური საწარმოებიც. იტყობინებიან ათობით დაღუპული ადამიანის შესახებ, ასობით კაცი დაიჭრა. ჩინელები მასობრივად ტოვებენ ვიეტნამის ტერიტორიას, მასშტაბური საინვესტიციო პროექტები შეიძლება გააუქმონ.

* * *

**ტაილანდის დედაქალაქში ოპოზიციის ბანაკზე თავდასხმა მოხდა: სამი კაცი დაიღუპა, 20-ზე მეტი დაიჭრა**



ინციდენტი ღამის 3 საათზე მოხდა. ვინ განახორციელა თავდასხმა, უცნობია. რამდენიმე საათის შემდეგ ოპოზიციონერები შეიჭრნენ შენობაში, სადაც მიმდინარეობდა თათბირი პარლამენტის ახალი არჩევნების თარიღის დადგენასთან დაკავშირებით. ღონისძიება ჩაიშალა, დროებითი პრემიერ-მინისტრი გაიქცა.

* * *

**თურქეთში, შახტში ავარიის მსხვერპლთა რიცხვი 282 კაცამდე გაიზარდა, ქვეყანა პროტესტებმა მოიცვა**

ქალაქ სომის ცენტრში პროტესტის მონაწილეებმა შეუტიეს იმ კომპანიის შტაბბინას, რომელსაც შახტი ეკუთვნის, ქვებით ფანჯრები ჩაამსხვრიეს. სტამბოლში მფლობელი კომპანიის შტაბბინასთან ასობით დემონსტრანტი შეიკრიბა მას შემდეგ, რაც პოლიციამ არ მისცა მათ ნება გასულიყვნენ ტაქსიმის მოედანზე. ანკარაშიც ასევე დაარბიეს მომიტინგეები.



SIC!

**ერთხელ ერთმა ჭკვიანმა პროფესორმა, უნივერსიტეტში ერთ-ერთ სტუდენტს დაუსვა შეკითხვა:**




# პროფესორისა და სტუდენტი აინშტაინის დიალოგი

**პროფესორი:** — ღმერთი კარგია?

**სტუდენტი**: — კი.

**პროფესორი:** — ეშმაკი კარგია?

**სტუდენტი**: — არა.

**პროფესორი:** — მართალია. მითხარი ერთი, შვილო, არსებობს თუ არა დედამიწაზე ბოროტება?

**სტუდენტი**: — კი.

**პროფესორი:** — ბოროტება ყველგანაა, ხომ მართალია? ყველაფერი ღმერთმა შექმნა, მეთანხმები?

**სტუდენტი**: — კი.

**პროფესორი:** — ესე იგი, ვინ შექმნა ბოროტება?

**სტუდენტი**: .....

**პროფესორი:** — ჩვენს პლანეტაზე არის გაჭირვება, ავადმყოფობა, ბოროტება, ხომ მართალია?

**სტუდენტი**: —კი, ბატონო.

**პროფესორი:** — ვინ შექმნა ეს ყველაფერი?

**სტუდენტი**: — .....

**პროფესორი:** — მეცნიერება გვიმტკიცებს, რომ ადამიანს აქვს 5 გრძნობა სამყაროს აღსაქმელად. მითხარი შვილო, გინახავს ღმერთი?

**სტუდენტი**: — არა.

**პროფესორი::** — გვითხარი, ღმერთის ხმა გაგიგია?

**სტუდენტი**: — არა, ბატონო.

**პროფესორი:** — შეხებიხარ ოდესმე ღმერთს? გემო გაგისინჯავს?

**სტუდენტი**: — სამწუხაროდ, არა, ბატონო.

**პროფესორი:** — ამ ყველაფრის მიუხედავად, გჯერა ღმერთის?

**სტუდენტი**: — კი.

**პროფესორი:** — ამ ყველაფრისგან გამომდინარე, მეცნიერება გვეუბნება, რომ ღმერთი არ არსებობს. შეგიძლია, შვილო ამის საწინააღმდეგო თქვა რამე?

**სტუდენტი**: — არა, ბატონო. მე მხოლოდ რწმენა მაქვს.

**პროფესორი:** — ზუსტადაც. რწმენა — ეს მთავარი პრობლემაა მეცნიერებისათვის.

**სტუდენტი**: .... პროფესორო, სიცივე არსებობს?

**პროფესორი:** — რა შეკითხვაა? რა თქმა უნდა, არსებობს. შენ არასდროს შეგციებია?

(აუდიტორიაში მყოფ სტუდენტებს, ახალგაზრდის შეკითხვაზე ჩაეცინათ).

**სტუდენტი**: — სინამდვილეში, ბატონო, სიცივე არ არსებობს. ფიზიკის კანონის თანახმად, ჩვენ ვთვლით სიცივედ იმას, რაც გამოწვეულია სითბოს არყოფნით. ჩვენ შევქმენით ეს სიტყვა იმის გამოსახატავად, რასაც ვგრძნობთ სითბოს არყოფნით.

(აუდიტორიაში სიჩუმე ჩამოვარდა).

**სტუდენტი**: — პროფესორო, სიბნელე არსებობს?

**პროფესორი:** — რა თქმა უნდა არსებობს, მაშ რა არის ღამე თუ არა სიბნელე.

**სტუდენტი**: — თქვენ კვლავ ცდებით, ბატონო. სიბნელე არ არსებობს. სიბნელე სინამდვილეში ეს არის სინათლის არყოფნა. ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ სინათლე, სიბნელე კი — არა. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ნიუტონის პრიზმა და თეთრი სინათლისგან მივიღოთ სხვადასხვა ფერის სინათლეები, გავზომოთ თითოეული სინათლისფერის ტალღის სიგრძე. სიბნელეს ვერ გავზომავთ, პატარა სხივსაც კი შეუძლია შეაღწიოს ბნელ სივრცეში და გაანათოს ის. როგორ შეგიძლიათ განსაზღვროთ რამდენად ბნელია ნებისმიერი სივრცე? სიბნელე ეს არის ის სიტყვა, რომელსაც ვიყენებთ იმ მოვლენის გამოსახატავად, რაც გამოწვეულია სინათლის არყოფნით. ახლა კი მითხარით ბატონო, სიკვდილი არსებობს?

**პროფესორი:** — რა თქმა უნდა. არის სიცოცხლე და მისი მეორე მხარე — სიკვდილი.

**სტუდენტი**: — ამჯერადაც ცდებით ბატონო. სიკვდილი, სიცოცხლის მეორე მხარე არაა, ეს მისი არყოფნაა. თქვენს სამეცნიერო თეორიებს სერიოზული ბზარი უჩნდება, ბატონო.

**პროფესორი:** — საითკენ მიგყავს საუბარი, ახალგაზრდავ?

**სტუდენტი**: — პროფესორო, თქვენ გვასწავლით, რომ მაიმუნების შთამომავლები ვართ. საკუთარი თვალებით აკვირდებოდით ევოლუციას?

(პროფესორმა ღიმილით თავი გააქნია და მიხვდა, თუ საითკენ მიდის საუბარი).

**სტუდენტი**: —არავის არ უნახავს ეს პროცესი, ესე იგი, თქვენ მოძღვარი უფრო ხართ, ვიდრე მეცნიერი.

(აუდიტორიაში სიცილი ატყდა).

**სტუდენტი**: — ახლა კი მითხარით, აუდიტორიაში არის ისეთი ვინმე, ვისაც პროფესორის ტვინი უნახავს? გაუგონია?შეხებია? უყნოსია?

(სტუდენტებმა გააგრძელეს სიცილი).

**სტუდენტი**: — როგორც ჩანს, არავინ. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო თეორიებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროფესორს ტვინი არ აქვს. თქვენდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, პროფესორო, როგორ შეგვიძლია დავიჯეროთ ლექციაზე ნათქვამი თქვენი თითოეული სიტყვა?

**პროფესორი:**— ვფიქრობ, თქვენ მხოლოდ უნდა დამერწმუნოთ.

**სტუდენტი**: — სწორედაც. ღმერთსა და ადამიანს შორის არის ერთადერთი კავშირი — „რწმენა“.

პროფესორი დაჯდა.

**ამ სტუდენტს ერქვა ალბერტ აინშტაინი.**

**Reportior.ge**

ძველი სიბრძნე

# ლაო-ძის 10 საუკეთესო ციტატა

**ლაო-ძი** — ძვ.წ. VI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ჩინელი ფილოსოფოსია, რომლის ვინაობა ზუსტად დადგენილი არ არის. თავად სიტყვა „ლაო-ძი“ ნიშნავს მოხუც ფილოსოფოსს, მასწავლებელს. ამ ადამიანზე ათასგვარი ლეგენდა დადის. ამბობენ, რომ სიცოცხლის მიწურულს მან ხარზე ამხედრებულმა დატოვა სამშობლო და გადაიხვეწა. ამის შემდეგ მასზე არაფერი სმენიათ. ლაო-ძიმ კაცობრიობას დაუტოვა ფილოსოფიური თხზულება სახელად **„დაო დე ძინი“**. ამ თხზულებამ საფუძველი ჩაუყარა ჩინეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობას **დაოსიზმს**. თავდაპირველად დაოსიზმი მხოლოდ ფილოსოფიური მიმდინარეობა იყო, მაგრამ ახ.წ. მეორე საუკუნეში წარმოიშვა რელიგია, რომელსაც ასევე დაოსიზმი უწოდეს.



გთავაზობთ ლაო-ძის ციტატებს:

**1. სჯობს იყო რბილი გარედან და შიგნიდან მაგარი, ვიდრე გარედან მაგარი და შიგნიდან რბილი.**

**2. არასდროს განსაჯო ადამიანი, სანამ არ გაივლი გრძელ გზას მისი ქალამნებით.**

**3. თქვენ გმართავთ ის, ვინც გაბრაზებთ.**

**4. სიცოცხლე მოკლეა. არ დაკარგოთ დრო, ისიამოვნე მისით.**

**5. ვისაც ჰგონია, რომ ჩაწვდა ყველაფრის არსს, მან არაფერი იცის.**

**6. თუ თქვენს წარმატებებს სხვისი შექებით ან ძაგებით ზომავთ, თქვენი განგაში უსასრულო იქნება.**

**7. ათას მილზე მოგზაურობა პირველი ნაბიჯით იწყება.**

**8. ღირსეულის კანონია — ქმენი კეთილი და არ იჩხუბო.**

**9. სიძნელეების გადალახვა იწყება მცირიდან, ხოლო დიდი საქმეები პატარიდან. ვინაიდან სამყაროში სირთულეები წარმოიქმნება მცირიდან, დიდი საქმეები კი პატარიდან.**

**10. იყავი ყურადღებიანი შენი ფიქრების მიმართ. ის არის შენი მოქმედების საწყისი.**

შეკრიბა
ლილუ მიროტაძემ

წერილი რედაქციას

## როდის აღიმართება საქართველოს დედაქალაქში თამარ მეფის ძეგლი?

**არადა, ეს საკითხი ბევრჯერ გამხდარა განსასჯელი — რასაც ვერც ერთმა მთავრობამ საშველი ვერ დააყენა.**

**თუმცა, წინა მთავრობამ ამჯობინა იქ, სადაც ნამდვილად მართებული იქნებოდა თამარ მეფის ძეგლის დადგმა, დაედგა ჯერ „ბაბუაწვერა შადრევანი“, შემდეგ კი რაღაც ვითომ გმირთა მემორიალი „საკვამურის“ სახით, რომელიც სრულიად შეუფერებელია გმირთა ხსოვნისათვის. ამ „საკვამურ მილს“ ამოვავსებდი რკინაბეტონით და გადავაქცევდი კვარცხლბეკად და აღვმართავდი უმშვენიერესი დიზაინის ძეგლს განახლებული არქიტექტურით თამარ მეფის უკვდავსაყოფად. დროა, ახალმა ხელისუფლებამ იფიქრონ ამ საკითხზე.**

**ეს „საკვამური“ კვარცხლბეკი ძეგლს თვალსაჩინოს გახდის, რადგან ესტაკადას ზემოთ მოექცევა და ლოცვას აღავლენს ქვეყნის გმირი შვილების უკვდავსაყოფად...**

**თენგიზ თომაძე,**
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი

## განცხადება

კომპანია „Vibro Diagnostik FZE“-ის ადმინსტრაცია კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ 2014 წლის 26 ივნისს, 15 საათზე, შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალის“ სასწავლო ცენტრის შენობაში (მისამართი: ქ. ბათუმი, ვოლსკის ქ. №2), გაიმართება კომპანია „Vibro Diagnostik FZE“-ს 3 ახალი 12 000 მ³ ტევადობის ნავთობის შესანახი რეზერვუარის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალისგან“ იჯარით აღებულ ტერიტორიაზე 12 000 მ³ ტევადობის ნავთობის შესანახი 3 რეზერვუარის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „ბათუმის ნავთობის ტერმინალის“ სასწავლო ცენტრის შენობაში — მისამართი: ქ. ბათუმი, ვოლსკის ქ. №2);

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

**კომპანია „VIBRO DIAGNOSTIK FZE“-ის ადმინისტრაცია**

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **კახეთის რეგიონული გზების გაუმჯობესების პროექტი**
განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P117152**

გამარჯვებული კომპანია: **შ.პ.ს. „ტყეპროექტი”**
მისამართი: **საქართველო, თბილისი, თემქა, მე-4 მ/რ, მე-5 კორპ., ბინა 95**
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **1 მაისი, 2014**
შესყიდვის მეთოდი: **ერთ პირთან მოლაპარაკება**
ღირებულება: **6,800.00 ლარი**
ხანგრძლივობა: **1 თვე**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **სასადილო-სიონი საავტომობილო გზის კმ.0-კმ.17 მონაკვეთის გზის კუთვნილებაში არსებული ნარგავების (ხეების) აღწერა**

## Contract Award Notification

Project Name: **Kakheti Regional Roads Improvement Project**
The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project Number: **P117152**

Awarded Firm: **Tkeproeqti Ltd.**
Address: **Temka, IV m/region, Building V, apart. 95, Tbilisi, Georgia**
Contract signature date: **May 01, 2014**
Method of Procurement/Selection: **Single Source Selection**
Price: **Gel 6,800.00**
Duration: **1 Month**
Summary scope of contract: **Forest inventory/evaluation along right-of way of Sasadilo-Sioni Road km0-km17 road section**

ეს ჩვენი სირცხვილიცაა

# რას აღიარებდა, რაც არ ჩაუდენია! — ამბობს ვიტალი დარასელიას დედა

**მოსკოვის ჩერიომუშკის რაიონულმა სასამართლომ 13 მაისის სხდომაზე ვიტალი დარასელიას ქურდობის ბრალდებით 2,5-წლიანი პატიმრობა შეუფარდა.**

ბედის ირონიაა, 1981 წლის 13 მაისს ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლის ავტორის ვიტალი დარასელიას ვაჟი ზუსტად 33 წლის შემდეგ მოსკოვში განსასჯელის სკამზე იჯდა და განაჩენს ისმენდა...

დარასელიას დაპატიმრების თაობაზე სხვადასხვა ვერსია ვრცელდება. მაგალითად, რუსული გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერს:



„ვიტალი დარასელია თავის თანამემამულე ირაკლი გოლანძიასთან ერთად ნაქურდალი ნივთების გაყიდვის მომენტში მოსკოვში, ცარიცინის რადიობაზრობაზე დააკავეს. უფრო ზუსტად, მოპარულ ორ ნოუთბუქსა და „ქენონის“ ფოტოაპარატს ირაკლი გოლანძია ყიდიდა, მაგრამ მილიციის თანამშრომლებმა მასთან ერთად ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ვაჟიც დააკავეს.

დაკითხვაზე ირაკლი გოლანძიამ განაცხადა, რომ იმ დღეს მან პროფკავშირების ქუჩაზე ბინა გაძარცვა, საიდანაც კომპიუტერებთან და ფოტოკამერასთან ერთად დაახლოებით 100 ათასი რუბლიც წაიღო.

ქურდობის შემდეგ ის წავიდა ბაზარზე ვიტალი დარასელიასთან შესახვედრად, რათა მისთვის ვალი დაებრუნებინა და პარალელურად მოპარული ნივთებიც გაეყიდა.

გამომძიებლებმა ირაკლი გოლანძიას ჩვენებაში ეჭვი შეიტანეს, არ დაუჯერეს და საბოლოოდ დაასკვნეს, რომ ის და დარასელია ერთად ქურდობდნენ. ისინი ბინებსაც ერთად ძარცვავდნენ და შემდეგ მოპარულ ტექნიკასაც ერთად ასაღებდნენ.

საბოლოოდ ჩერიომუშკის სასამართლომ იმის გამო, რომ ირაკლი გოლანძიამ დანაშაული აღიარა, უფრო ნაკლებვადიანი სასჯელი შეუფარდა — ის საპატიმროში ორ თვეს გაატარებს, ხოლო ვიტალი დარასელიას, რომელიც ქურდობასა და ნაქურდალის გასაღებაში მონაწილეობას არ აღიარებს, აშკარა სამხილების არქონის მიუხედავად, 2,5-წლიანი პატიმრობა შეეფარდა“, — წერს რუსული გაზეთი და იქვე დიდ ვიტალი დარასელიას ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მოიხსენიებს.

ვიტალი დარასელიას დაპატიმრების ამბავი, ცხადია, საქართველოშიც უმალ გავრცელდა, თუმცა, ამ ფაქტის დაჯერება ბევრს გაუჭირდა, მათ შორის — ჩვენც. ამიტომ ვიტალის დედას, ქალბატონ მარინას დავუკავშირდით, რომელმაც ეს ამბავი დაგვიდასტურა და თან ეს გვითხრა:

— სამწუხაროდ, მართალია — ვიტალი დაკავებულია და პირველი ინსტანციის სასამართლომ 2,5-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. ტყუილი კი ის არის, რის გამოც არის დაკავებული ჩემი შვილი და რა ცნობებსაც ავრცელებენ.

სიმართლეს ახლა გეტყვით: მოსკოვში მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველს ვიტალის ფული მართებდა და ვალის დასაბრუნებლად სწორედ იმ დღეს დაურეკა და დაუთქვა შეხვედრა. ჩემი ვაჟი მასთან შესახვედრად თავის საცოლესთან ერთად წავიდა, რომელიც მანქანაში დარჩა. შეხვდა მოვალეს, ფული გამოართვა და სწორედ ამ მომენტში ორივე აიყვანეს.

ის ქართველი ადგილზევე გაჩხრიკეს და ჯიბეში სხვადასხვა ნივთი აღმოუჩინეს, ვიტალიც მის თანამოსაქმედ ჩათვალეს და ორივე განყოფილებაში წაიყვანეს. იმ პიროვნებას, ეტყობა, დაკავებამდე უთვალთვალებდნენ. ბიჭებს ჩემი შვილის საცოლეც თან გაჰყვა. ვერაფრით აჯერებდნენ მილიციელებს, რომ ადგილზე მხოლოდ კუთვნილი ფულის ასაღებად იყვნენ მისულნი.

თანაც, ხომ ყველამ იცის ქართველებისა და, ზოგადად, კავკასიელების მიმართ რუს სამართალდამცავებს როგორი დამოკიდებულება აქვთ?!

მათთან ვერც ვიტალის საცოლის ჩვენებამ გაჭრა, ვერც მისი მოვალის სიტყვებმა, რომ ვიტალის ქურდობასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა; არც სატელეფონო ზარების ამოღებამ და არც იმ ფაქტმა, რომ ერთ-ერთი გაძარცვული სახლის პატრონმა ამოცნობისას ვიტალი ვერ იცნო.

მოკლედ, გამოძიებას ვიტალის ქურდობაში მამხილებელი ფაქტები არ აქვს, მაგრამ რად გინდა, მაინც პატიმრობა შეუფარდეს.

**— 2,5-წლიანი პატიმრობა საბოლოო ვერდიქტია?**

— არა, ადვოკატმა განაჩენი ქალაქის სასამართლოში უკვე გაასაჩივრა და უახლოეს დღეებში საქმის ხელახალი განხილვა დაინიშნება.

თავად ადვოკატიც გაოგნებულია, გამოძიებას პატიმრობისთვის ხელმოსაკიდი არაფერი აქვს, თუმცა მოსამართლე მაინც მხოლოდ პროკურატურას უსმენსო.

**— რამდენად არის შანსი, რომ გამოტანილი გადაწყვეტილება ქალაქის სასამართლომ საერთოდ გააუქმოს ან შეამსუბუქოს?**

— ობიექტური გამოძიებისა და სასამართლოს შემთხვევაში ვიტალი დარბაზიდანვე უნდა გაათავისუფლონ.

იცით, როცა დააკავეს, მაშინვე უთხრეს — აღიარე, რომ დანაშაული ჩაიდინე, რამდენიმე ბინა გაძარცვე და საპროცესო შეთანხმებით გაგათავისუფლებთო. ჩემი შვილი კი რას აღიარებდა, რაც არ ჩაუდენია! სასამართლოზეც პირდაპირ თქვა, რომ დანაშაული არ ჩაუდენია და არაფრის აღიარებას არ აპირებს.

ისე კი, იმედი მაქვს, მოსკოვის საქალაქო სასამართლო მაინც ობიექტური იქნება და ვიტალი გათავისუფლდება.

**— თქვენი ვაჟის მოვალე რას ამბობს?**

— სიმართლეს, თუმცა სასამართლო და პროკურორები არც მას უჯერებენ. ამბობენ, კავკასიელები არიან და მათ იციან ერთმანეთის გვერდში დგომა, დანაშაულს ხშირად ერთი კაცი იღებს თავის თავზეო.

არც იმ გოგონას ლაპარაკი აინტერესებთ და საერთოდ — არაფერი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, სასამართლოს თვითმიზანია, რომ ვიტალი ციხეში იჯდეს.

**— მოსკოვში ვინმე პატრონობს თქვენს შვილს?**

— ვიტალი მოსკოვში დეიდაჩემთან ცხოვრობს და სწორედ ის პატრონობს.

* * *

**...ისე, როგორი სამწუხაროა, რომ იმ კაცის შვილს, რომლის მიერ 33 წლის წინ მოქნეულმა მარცხენამ ქართულ ფეხბურთს ყველაზე დიდი სიხარული მოუტანა, ათიათასობით ადამიანი შუა ღამით ქუჩაში გამოიყვანა, მოსკოვში დედის მოხუცი დეიდა და საცოლე პატრონობენ.**

როგორია იმის დაჯერება, რომ ვიტალი დარასელიას, გინდ მოსკოვში, გინდ თბილისში, სხვა პატრონი არ ჰყავს, მით უმეტეს, როცა მართალია?!

ისიც როგორი სამწუხაროა, რომ დიდი ვიტალი დარასელიას ვაჟს სამშობლოში ისე გაუხდა საქმე, რომ თავის სარჩენად მოსკოვს გადაბარგდა... ასეთი კაცის ოჯახი, ეგებ, მეტი ყურადღების ღირსია?..

**ვიტალი დარასელია უმცროსმა, რომელიც სხვადასხვა დროს თბილისის „დინამოს“, კიევის ცსკა-ს, ვლადიკავკაზის „ალანიასა“ და კიშინიოვის „დაჩიას“ ღირსებას იცავდა, ფეხბურთელის კარიერა 2009 წელს დაასრულა. ვიტალი დარასელია-უმცროსი საქართველოს ნაკრების ღირსებას 2002-2005 წლებში იცავდა (10 მატჩი).**

**ბექან დოლიძე**

კალათბურთი

# კვანძი ხვალ გაიხსნება



**მოხდა ის, რასაც სუპერლიგის ქომაგთა აბსოლუტური უმრავლესობა ნატრობდა: „არმიისა“ და „ქუთაისის“ ნახევარფინალურ წყვილში უძლიერესის გამოსავლენად პლეი-ოფის ოთხი შეხვედრა საკმარისი არ აღმოჩნდა და მათ შორის გადამწყვეტი მეხუთე მატჩი ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში 14 საათზე დაიწყება.**

**„ქუთაისი“ — „არმია“ 80:84, 82:79 სერიის ანგარიში 2:2.**

დაგვეთანხმებით, დაახლოებით თანაბარი ძალის მეტოქეთა ბრძოლების სიმძაფრესა და რიონისპირა ქალაქში გამართულ მესამე და მეოთხე დაპირისპირებებში განვითარებული მოვლენების დრამატულობაზე მათი შედეგებიც მეტყველებს.

ვიმედოვნებთ, არანაკლებ საინტერესო სანახაობა ელით გულშემატკივრებს დასკვნით პაექრობაშიც, რომელიც ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის სატიტულო რაუნდში თბილისის „დინამოს“ მომავალ მოწინააღმდეგეს გამოავლენს.

რაც შეეხება თვით რეგულარული სეზონის გამარჯვებულს, „თეთრ-ლურჯებმა“ განვლილ ეტაპზე „ბათუმი“ დაჯაბნეს 3:0 (მესამე თამაშში — 70:59).

* * *

**ნბა. მეოთხედფინალური პლეი-ოფი.** „მაიამი“ — „ბრუკლინი“ 96:94 (სერიის ანგარიში 4:1).

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# ანდალუზიის სადიდებელი

**მართლაც რომ იღბლიან ვარსკვლავზე გაჩენილი „სევილიის“ თავკაცი უნაი ემერი. გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, რომ ევროპის ლიგის წინა ეტაპებზე მისმა გაწვრთნილმა ანდალუზიურმა კლუბმა თანამემამულეებთან ორრაუნდიანი ბრძოლები ოსტატობასა და სპორტულ ჟინთან ერთად სწორედ ფორტუნის დახმარებით მოიგო „ბეტისთან“ და „ვალენსიასთან“, ტურინში გამართულ ფინალურ მატჩში კი მნიშვნელოვანწილად ასევე ყისმათს უნდა უმადლოდეს ტიტულის მესამედ მოპოვებას.**





**„სევილია“ — „ბენფიკა“ 0:0. (პენალტებით 4:2).**

ბედის ირონიას უნდა მივაწეროთ, რომ ესპანელთა მეტოქემ კონტინენტზე, ალბათ, ყველაზე უიღბლო გუნდის რეპუტაცია მას შემდეგ დაიმკვიდრა, რაც ნახევარი საუკუნის წინათ უსამართლოდ დათხოვნილი მაშინდელი ტრიუმფის სულისჩამდგმელი უნგრელი ებრაელის ბელა გუტმანის დაწყევლის შედეგად ევროტურნირების ერთბაშად მერვე(!) ფინალი წააგო, არადა, წლევანდელი ტურნირი დაუმარცხებლად დაასრულა.

პორტუგალიური გრანდის მდგომარეობას დისკვალიფიცირებულთა და ტრავმირებულთა სიმრავლე ართულებდა, თუმცა იგი მაინც ღირსეულად გამოიყურებოდა და სათამაშო დროის უმეტესობის განმავლობაში უპირატესობასაც ფლობდა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს ნავსის გასატეხად საკმარისი არ აღმოჩნდა, რაც გარკვეულწილად გერმანელი მსაჯის ბროიხის დამსახურებაცაა — მან სამ საპენალტო ეპიზოდზე დახუჭა თვალი.

და ბოლოს — ქებათაქება სევილიელთა პორტუგალიელ(!) მეკარეს ბეტუს, რომელმაც სერიაში ორი პენალტი მოიგერია.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# ფედერერი რომს დაემშვიდობა



**მსოფლიო რეიტინგსიის მეოთხე ნომერი როჯერ ფედერერი რომის „მასტერზ 1000“-ს თავის პირველივე მატჩში, მეორე ეტაპის შეხვედრიდან დაემშვიდობა. 32 წლის შვეიცარიელს ფრანგმა ჟერემი ჩარდმა 1:6, 6:3, 7:6 მოუგო. მატჩი 2 საათსა და 6 წუთს გაგრძელდა, 27 წლის ჩარდის მომდევნო მოწინააღმდეგე კი ხორვატი ივან დოდიგი იქნება.**

„თამაშისას ორივეს პრობლემები გვქონდა და საბოლოოდ გამარჯვებულის ვინაობა რამდენიმე გათამაშებამ გადაწყვიტა. ჟერემიმ საჩუქარი გამიკეთა, როდესაც ორმაგი შეცდომა დაუშვა და მატჩ-ბოლი გამოვიმუშავე. ეს მომენტი ვერ გამოვიყენე. ამასთან, დღეს პირველ ბურთს ცუდად ვაწოდებდი. ჩარდი მედგრად იბრძოდა და მოგებისკენ მიმავალ გზას მიაგნო“, — განაცხადა ფედერერმა მარცხის შემდეგ.

**მანუჩარ გიორგაძე**

ინტერნეტიდან

# ძუნწი იანუზაი?

**ბრიტანეთის კუნძულების სპორტულ სამყაროში კიდევ ერთი ახალი სკანდალი გორდება. „ყვითელი“ პრესა მზადაა თავის მკითხველს და ფეხბურთის გულშემატკივრებს „ცხელ-ცხელი“ ინფორმაცია პირველმა მიაწოდოს.**

საქმე ისაა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა წევრი ადნან იანუზაი ასევე ცნობილ ბრიტანელ მოდელს შარლოტა სპრინგერს ხვდება. როგორც ბულვარული პრესა ამტკიცებს, მათ რომანი აქვთ გაჩაღებული, რასაც მშვენიერი შარლოტა მტკიცედ უარყოფს.

შარლოტა სპრინგერს სად და როგორ უმასპინძლდება იანუზაი, პრესამ ეს ჯერ ვერ დაადგინა. სამაგიეროდ იმის გაგება მოახერხა, რომ რამდენიმე კვირით ადრე ფეხბურთელმა 25 წლის სტუდენტი გოგონა მელისა მაკენზი პაემანზე ძვირფასი რესტორნის ნაცვლად იაფფასიან სასადილოში დაპატიჟა.



**როსტომ რაჭველიშვილი**

## ⊙ იურიდიული კონსულტაცია

# გარიგებების სახეები და მათი არსი

**ჩვენი რუბრიკის მკითხველთა თხოვნით ვაგრძელებთ ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილ სტატიას, რომელიც ფიზიკურ პირებსა და მათთან დაკავშირებულ ზოგიერთ სამართლებრივ საკითხს შეეხებოდა. დღეს გესაუბრებით გარიგების ფორმის, შეცდომით, მოტყუებით, იძულებით და პირობით დადებულ გარიგებებზე, ასევე სამოქალაქო უფლების განხორციელებაზე; სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების გამოთვლის წესებზე; სხვა პირებთან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადებზე და სხვა.**

გარიგება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით.

გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას, საკმარისია გარიგების მონაწილეთა ხელმოწერა. მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენა, განმეორება და აღბეჭდვა დასაშვებია იქ, სადაც მიღებულია ჩვეულებად, მათ შორის ფასიან ქაღალდებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის შესაბამისად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა. ამ დეფინაციის თანახმად ნება არა მარტო უნდა არსებობდეს, არამედ საჭიროა მისი გარეგნული გამოვლინებაც. კოდექსში ხაზგასმულია, რომ გარიგებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი სამოქალაქო ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ე.ი. ამ შემთხვევაში ნების გამოვლენას უნდა მოჰყვეს უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა ან უკვე არსებულის შეცვლა ან შეწყვეტა.

**კითხვა: სამართლებრივი თვალსაზრისით, რას ეწოდება ცალმხრივი გარიგება და როდიდან ჩაითვლება ნამდვილად?**

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**

**პასუხი:** ისეთ გარიგებას, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისია ნების გამოვლენა, სამოქალაქო სამართალში ცალმხრივი გარიგება ეწოდება. ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

თუმცა, ცალმხრივი გარიგებები სამოქალაქო სამართალში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, უფრო მეტად მაინც ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებებია გავრცელებული.

თუ ხელშეკრულების მხარეებს მხოლოდ უფლებები აქვთ ან მხოლოდ მოვალეობები, საქმე გვაქვს ცალმხრივ ხელშეკრულებასთან. მაგალითად, ჩუქების დროს მჩუქებელს უფლება აქვს, აჩუქოს, ხოლო დასაჩუქრებულს უფლება აქვს, მიიღოს საჩუქარი. ორმხრივი ხელშეკრულების მაგალითია ნასყიდობა. ამ დროს ხელშეკრულების ორივე მხარეს აკისრია როგორც მოვალეობები, ასევე – უფლებები. კერძოდ, მყიდველი მოვალეა, გადაიხადოს ფასი, ხოლო გამყიდველი ვალდებულია, გადასცეს საქონელი. მრავალმხრივი გარიგებების მეტად გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილებები, რომლებიც პირთა უმრავლესობის მიერ მიიღება. გადაწყვეტილებები, როგორც მრავალმხრივი გარიგება, გამოიყენება არა მხოლოდ იურიდიულ პირად ორგანიზებულ გაერთიანებებში (სპს, შპს, სს და სხვა), არამედ იმგვარ გაერთიანებებშიც, რომლებიც არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. მაგალითად, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობაში ან საერთო საქმიანობის დროს ამხანაგობაში უმრავლესობის ცნებას ერთ შემთხვევაში განსაზღვრავს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეთა რაოდენობა, ხოლო სხვა შემთხვევაში – კაპიტალის ოდენობა.

ხელშეკრულების ცალმხრივად და მრავალმხრივად დაყოფის გარდა, მათი კლასიფიკაცია შეიძლება ასევე ვალდებულებით-სამართლებრივ, სანივთო, საავტორო, საოჯახო და მემკვიდრეობით ხელშეკრულებებად.

ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებები ისეთი გარიგებებია, რომლებიც მიმართულია ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. რაც შეეხება სანივთო (ქონებრივ) სამართლებრივ გარიგებებს, მათი მიზანი სანივთო-სამართლებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა, სხვისთვის გადაცემა ან შეწყვეტაა. საავტორო სამართლის გარიგებებს უნდა მივაკუთვნოთ ისეთი გარიგებები, რომლებიც მიმართულია საავტორო უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

მნიშვნელოვანია საოჯახო სამართლებრივი გარიგებები, რომლებსაც განეკუთვნება დაქორწინება, საქორწინო ხელშეკრულება (კონტრაქტი), მამობის აღიარება და სხვა. სანივთო (ქონებრივი) სამართლის მსგავსად, საოჯახო სამართალშიც გარიგებათა ტიპები კანონითაა განსაზღვრული და მხარეებს არ შეუძლიათ მათი შეცვლა. მემკვიდრეობის სამართალში ყველაზე გავრცელებულ გარიგებას წარმოადგენს ანდერძი. მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც გარიგების კლასიკურ მაგალითს.

**კითხვა: სამოქალაქო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, რა იგულისხმება მავალდებულებელ გარიგებებში და რამდენმხრივი შეიძლება იყოს იგი?**

**ეკატერინე ბერიძე**

**პასუხი:** მავალდებულებელი გარიგებების კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომელთა საფუძველზეც პირი კისრულობს ვალდებულებას, სხვა პირის წინაშე შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედებისგან. პირი, რომელმაც იკისრა ვალდებულების შესრულება - ვალდებულია შეასრულოს დაპირებული, ხოლო ვალდებულების ადრესატს - კრედიტორს, წარმოეშობა შეპირებულის შესრულების მოთხოვნის უფლება. მავალდებულებელი გარიგება შეიძლება იყოს როგორც ცალმხრივი (ჯილდოს საჯარო დაპირება), ისე ორმხრივი (ხელშეკრულებათა უმეტესობა).

არსებობს აგრეთვე განკარგვითი (როცა ხდება უკვე არსებულ უფლებაზე ზემოქმედება, მისი შეცვლა, სხვისთვის გადაცემა, უფლებრივი დატვირთვა ან გაუქმება), ასევე შეძენითი გარიგებები (რომლებიც გვხვდება როგორც მავალდებულებელი, ისე განკარგვითი გარიგებების დროს. ეს შეძენა შეიძლება მოხდეს როგორც ცალმხრივი (სამკვიდროს მიღება), ისე ორმხრივი გარიგებით (ნასყიდობის, ჩუქება და სხვა). უსასყიდლო გარიგება გარიგების ისეთი სახეა, როცა მხარე კისრულობს რაიმე ვალდებულების შესრულებას, მაგრამ მას არ ახლავს თან საპასუხო შესრულება, როგორც ეს ჩუქების, თხოვების ან საქონლის უსასყიდლოდ შენახვის ხელშეკრულებაშია.

გარიგებათა ზემოთ განხილული დაყოფა



სახეებად არ არის ამომწურავი. იმის მიხედვით, თუ რა სახის ურთიერთოებებს აწესრიგებს გარიგება, ერთმანეთისგან განასხვავებენ ქონებრივ და არაქონებრივ გარიგებებს, ისინი შეიძლება იყვნენ როგორც ცალმხრივი, ასევე ორმხრივი ან მრავალმხრივი. ცალმხრივი პირადი არაქონებრივი გარიგების მაგალითია მამობის აღიარება, ხოლო ორმხრივის – მშობლების მიერ შვილისათვის სახელის დარქმევა ურთიერთშეთანხმებით.

გარიგების დახასიათებისას ნების გამოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ თითქმის საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში გარიგება და ნების გამოვლენა სინონიმებად ითვლება. სამოქალაქო სამართალში ნების გამოვლენა წმინდა სამართლებრივი ცნებაა, სამართლებრივი საშუალება იმ ქმედების გამოსახატავად, რომლის მიზანია განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. ეს ნორმა იმპერატიულია და გარიგების მონაწილეებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ, თუმცა, ზოგ შემთხვევაში კანონი გამონაკლისს ითვალისწინებს და ფორმის დაუცველად დადებული გარიგება შეიძლება არ იყოს ცნობილი ბათილად. ეს ის შემთხვევაა, რომელიც გარიგების დადებისას მხარეებმა ვერ გაითვალისწინეს. მაგალითად, კანონის თანახმად, საცხოვრებელი სახლის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს. თუ ხელშეკრულების მხარეებმა ეს მოთხოვნა არ დაიცვეს, მაგრამ ხელშეკრულება ფაქტობრივად შეწყვიტეს, ასეთი შეწყვეტა არ იქნება ბათილი, ვინაიდან ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ფორმის ხარვეზი. აქვე აღსანიშნავია, რომ არ შეიძლება ამ გამონაკლისის განზოგადება ყველა ურთიერთობის მიმართ; ფაქტობრივი შესრულება ფორმის ნაკლს მხოლოდ მაშინ ასწორებს, თუ ამის შესახებ კანონი პირდაპირ მიუთითებს ან ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის სამართლებრივ სტაბილურობას.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს, ზნეობის ნორმებს ან არღვევს კანონით დადგენილ წესს. კანონი მოთხოვნებს უყენებს არა მხოლოდ ნების გარეგნული გამოხატვის ფორმებს, არამედ მის შინარსს.

**კითხვა: რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არსებობს მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები. რა შინაარსის მქონეა თითოეული მათგანი?**

**ნინო ხუციშვილი**

**პასუხი:** მოჩვენებითად ჩაითვლება გარიგება იმ შემთხვევაში, თუ ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცემა მსვლელობა. მსგავსი კატეგორიის გარიგებათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ გარიგების მონაწილეები ურთიერთშეთანხმებით, მიზნად ისახავენ მესამე პირთა შეყვანას შეცდომაში. რაც შეეხება თვალთმაქცურ გარიგებებს, მათი მიზანია, სხვა გარიგების დაფარვა, რომლის განხორციელებასაც ისინი რეალურად მიიჩნევენ.

გარიგების დადებისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოტივი. შეცდომა გარიგების მოტივში არსებითად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა. მაგალითად, შემოწირული თანხა უნდა მოხმარებოდა ლტოლვილებს, სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ეს თანხა სრულიად სხვა მიზნებისათვის იქნა გამოყენებული.

შეცდომით დადებული გარიგებები საცილო გარიგებათა კატეგორიას მიეკუთვნება. საცილო გარიგება ნამდვილად ითვლება მანამ, ვიდრე დაინტერესებული პირი არ მოითხოვს მის გაბათილებას.

**კითხვა: კანონის თანახმად, რა უფლება აქვს დაზარალებულ მხარეს იმ შემთხვევაში, როცა იგი მოტყუებით დადებული გარიგების მსხვერპლი აღმოჩნდა და არის თუ არა ამ შემთხვევაში დადგენილი შეცილების უფლების რაიმე ვადა?**

**გაიოზ მჭედლიშვილი**

**პასუხი:** მოტყუების დროს დაზარალებულ მხარეს შეუძლია, მოითხოვოს გარიგების ბათილობა და ზიანის ანაზღაურება. მნიშვნელოვანია ის, რომ მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ მოტყუება უშუალოდ გარიგების საგანს ეხება თუ სხვა გარიგებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ გარიგების მონაწილის ნებაზე. მოტყუებით დადებული გარიგების დროს შეცილების უფლების ვადა შეადგენს ერთ წელს, მაშინ როცა შეცდომით დადებული გარიგების დროს ეს ვადა მხოლოდ ერთი თვით არის განსაზღვრული.

ნების ნაკლის გამო დადებული გარიგებების ყველაზე მძიმე და მკაცრ ფორმას წარმოადგენს იძულებით დადებული გარიგებანი. იძულებით დადებულ გარიგებებს იძულების შედეგად შეცდომა კი არ მოჰყვება, არამედ ნების აშკარად საწინააღმდეგო მოქმედებაა: პირმა იცის რეალური ვითარება. აქედან გამომდინარე, ის წინააღმდეგია გარიგების დადების, მაგრამ მას გარეგანი ზემოქმედების შედეგად აიძულებენ, რომ დაეთანხმოს შემოთავაზებულ წინადადებას. იძულება შეიძლება არსებობდეს ფიზიკური ზემოქმედების ფორმით, მაგალითად, როცა პირს ძალადობით მოაწერინეს ხელი ხელშეკრულებაზე. ეს შეიძლება გამოიხატოს როგორც ფარული, ისე აშკარა მუქარის სახით. მუქარა შეიძლება იყოს მიმართული როგორც პირადად კონკრეტულ პირზე, ასევე მის ქონებაზე. არსებობს შემთხვევები, როცა მუქარა მიმართულია ოჯახის წევრების ან სხვა ნათესავების მიმართ. კანონის თანახმად, იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით. მართლსაწინააღმდეგობა არსებობს მაშინ, როცა მუქარა ხორციელდება აკრძალული საშუალებებით.

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის" იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**
**ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09**

## გახსენება

# შევარდენ ჯღარკავა



15 წელი გასულა მას შემდეგ, ბიძავ, რაც თქვენ წახვედით ამქვეყნიური ცხოვრებიდან. დიდად სამწუხაროდ ნაადრევად შეწყდა თქვენი ამქვეყნიური ცხოვრება, თქვენ ხომ მხოლოდ 65 წელი იცხოვრეთ. ძალიან რთული იყო თქვენი ბავშვობის ხანა, 7 წლის იყავით, როდესაც მამა, უდიდესი მსხვერპლისა და არნახული მასშტაბის დამანგრეველ, სისასტიკით გამორჩეულ მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს.მისი სიცოცხლე ფაშიზმის განადგურებას შეეწირა და შინ ვერ დაბრუნდა.

უმამოდ გაიზარდე, ბავშვობაში ომის წლების ურთულესი პერიოდი გამოიარე, მაგრამ ყველაფერი ეს ღირსეულად გადალახე. შემდეგ იყო ცხოვრებასთან ჭიდილი, ბუნებით სამართლიანს, მიზანდასახულს, ენერგიულს, მეგობრულს, არ გაგჭირვებია საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება. მეუღლესთან ერთად გაანახლეთ და შესანიშნავად მოაწყვეთ კარმიდამო, აღზარდეთ სამი შვილი, რომლებიც ოჯახებით, ასევე არიან საზოგადოების ღირსეული წევრები.

სადაც კი იმუშავეთ, ყველგან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეთ, ასევე დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდით სანათესაო-სამოყვროში, იყავი მათი კიდევ უფრო დამაახლოებელი, გამთლიანებელი და ლიდერი.

გამოირჩეოდით სიკეთის კეთებით, თანადგომით და მეგობრობით. პურლვინიანსა და ქართული ტრადიციების მატარებელს უაღრესად გიყვარდათ სტუმარი და მოლხენა, იყავით კარგი თამადა, გქონდათ ხალასი იუმორის გრძნობა, გყავდა ბევრი მეგობარი და მოკეთე.

პირადად ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, იყავი მაგალითის მომცემი და ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება, რომლის მაგალითზე აღვიზარდე, ბევრი რამ ვისწავლე და გავითავისე, დაუვიწყარია ჩემთვის ის დახმარება და თანადგომა, რომელიც თქვენ, განსაკუთრებით ახალგაზრდობის წლებში აღმომიჩინეთ.

ბიძავ, წელს, 17 მაისს 80 წელი გისრულდება. თქვენი ოჯახის წევრები, ჩვენ თქვენი უახლოესი გარემოცვა, კიდევ ერთხელ თქვენს საფლავთან შევიკრიბებით, დავანთებთ სანთლებს, შევსვამთ თქვენი სულის მოსახსენებელ სასმისს და შევთხოვთ უფალს თქვენი სულის მარადიულ სიმშვიდეს.

**თქვენი დისშვილი**
**გიორგი დუნდუა**

## ⊙ ინფორმაცია

### ყოფილი მეუღლის მკვლელობაში ბრალდებული დააკავეს

**შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, 1982 წელს დაბადებული ალექსანდრე ც. დააკავეს.**

**სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 14 მაისს, თბილისში, გახოკიძის ქუჩაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ყოფილ მეუღლეს და მის ძმას ჭრილობები მიაყენა, რის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ბრალდებულის მეუღლე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. დაჭრილი ახალგაზრდა მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.**

**სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ალექსანდრე ც. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.**

**დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.**

### ხანძარი გორში

**გორში, გიორგი ჭანტურიას ქუჩაზე საცხოვრებელ სახლს ხანძარი გაუჩნდა. როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი გორიდან იუწყება, ცეცხლი გელდიაშვილების კუთვნილ საცხოვრებელ სახლს წაეკიდა და იქვე მდებარე შენობაზეც გადავიდა. ხანძრის გამომწვევი მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია.**

**ხანძრის ლიკვიდაციისთვის სამი სახანძრო მანქანა მუშაობდა.**

**შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.**

**ინტერპრესი**

## ჩვენი კარაბადინი

**ღვიძლი ჩვენი ორგანიზმის მთავარ ფილტრად ითვლება. ერთი დღე-ღამის განმავლობაში იგი სისხლის ორი ათასამდე ლიტრს ასუფთავებს, ფილტრავს მას 300-400-ჯერ.**

მაგრამ სწორედ ამ ორგანოს ჯანმრთელობას, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ჩვენი უმრავლესობა ან სულაც არ აქცევს ყურადღებას, ანდა აკეთებს ამას ისე უწესრიგოდ, რომ მხოლოდ ართულებს მის პრობლემებს.

ხალხში უამრავი დაბნეულობაა იმის შესახებ, თუ რა არის და რა არ არის ამ ორგანოსთვის სასარგებლო. ღვიძლის მკურნალობის ხალხურ მეთოდებს შორის ბევრია ანტიმეცნიერული, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მის ჯანმრთელობას. მოდით, გავერკვეთ ამაში.

# 5 მითი ღვიძლის შესახებ

## სინამდვილეში რა შეგვინარჩუნებს მის ჯანმრთელობას



**მითი 1. ღვიძლი რომ კარგად მუშაობდეს, იგი დრო და დრო უნდა გაასუფთაო.**

სინამდვილეში ღვიძლს ეს არ სჭირდება, თუმცა, ხალხში ძალიან პოპულარულია ღვიძლის გასუფთავების რეცეპტი მცენარეული ზეთისა და ლიმნის წვენის დახმარებით, რომლებითაც, გვირჩევენ, „გამოვდევნოთ" ღვიძლიდან ტოქსინები. ღვიძლის გაწმენდის პროცედურამ ნაღვლის ბუშტში ქვების არსებობის დროს შეიძლება ნაღვლის ნაკადის დაცობა გამოიწვიოს და მიგვიყვანოს ღვიძლის ჭვალამდე. შედეგად ადამიანი ეწევა რისკს აღმოჩნდეს საავადმყოფოში საოპერაციო მაგიდაზე. ამას გარდა, ამგვარი ეგრეთ წოდებული „წმენდა" ქმნის დამატებით სტრესულ დატვირთვას ამ ორგანოსთვის, რამაც მთლიანად შეიძლება გააუარესოს მისი ფუნქციები.

**მითი 2. ღვიძლი რომ „დაატყვევო", ქრონიკული ლოთი უნდა იყო.**

სინამდვილეში ღვიძლის ალკოჰოლური დაავადება უვითარდება არა მხოლოდ იმათ, ვინც სპირტიან სასმელებს ბოროტად იყენებს. ალკოჰოლის მცირე დოზამაც კი შეიძლება ამ ორგანოს დაზიანებამდე მიგვიყვანოს. ღვიძლისთვის განსაკუთრებით საშიშია ალკოჰოლური სასმელების სისტემატური მიღება, თუნდაც მცირედისა, რის შედეგადაც ორგანიზმში გროვდება ტოქსიკური ეთანოლი, რომელიც აზიანებს ამ ორგანოს უჯრედებს. ნაკლებ რისკს ეწევიან ისინი, რომლებიც სვამენ შემთხვევიდან შემთხვევამდე, მაგრამ მაინც ეწევიან რისკს.

**მითი 3. ღვიძლი შეიძლება დააზიანოს მხოლოდ მაგარმა ალკოჰოლურმა სასმელებმა.**

სინამდვილეში ლუდი და სუსტი ალკოჰოლური სასმელები მას არანაკლებ ზიანს აყენებენ, ვიდრე მაგარი სასმელები. მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რამდენი ალკოჰოლი მოიხმარეთ სუფთა სპირტზე გადაანგარიშებით. უსაფრთხოდ შეიძლება მივიჩნიოთ 20 გრამი სუფთა სპირტი. ეს შეადგენს დაახლოებით ერთ ბოკალ ღვინოს ან 50 გრამ არაყს, 1 ფუჟერ ლუდს, და მეტი არა. ღვიძლს ამ დოზის გადამუშავება შეუძლია დაახლოებით ერთ საათში. მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის არავინ კმარობს ამას.

**მითი 4. მათ, ვინც არ სვამს, ღვიძლი სრულ წესრიგში აქვთ.**

სინამდვილეში ცხიმიანი და ტკბილი საკვები ზიანს აყენებს ჩვენს ღვიძლს არანაკლებად, ვიდრე სპირტიანი სასმელები. მაღალკალორიულ საკვებს, რომელიც უხვად შეიცავს ცხოველურ ცხიმებს, ჩვენი ორგანიზმი მძიმედ გადაამუშავებს. ღორმუცელობის დღესასწაულებს მივყავართ სეკრეციის დარღვევასთან და ნაღვლის შემადგენლობის შეცვლასთან, ნაღვლის წვენის, კუჭ-ნაწლავთა ჰორმონების და კუჭქვეშა ჯირკვლის ფერმენტების დარღვევასთან. ღვიძლი ვერ უმკლავდება გადასამუშავებლად შემოსული ცხიმების სიუხვეს. იტანჯება ტრიგლიცერიდების დიდი ოდენობით გადატვირთული ღვიძლის უჯრედების ფუნქციები. ღვიძლი კარგავს სრულფასოვან უნარს, მოახდინოს ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებების – ტოქსინების, ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების, ბაქტერიებისა და ვირუსების – ნეიტრალიზება. მასში დაგროვებას იწყებს ცხიმი, აყალიბებს ცხიმოვან სტეატოზს, რომლის ფონზეც შემდგომ ვითარდება სტეატოჰეპატიტი – ანთებითი პროცესი, რომელსაც თან ახლავს ამ ორგანოს უჯრედების ნაწილობრივი დაღუპვა. დარჩენილი უჯრედები იძულებულია იმუშაოს წარმოუდგენელი დატვირთვით, ცდილობს, უნაყოფოდ, შეაჩეროს ცხიმის დაგროვება. ხანგრძლივი ქრონიკული ანთების დროს ხდება ღვიძლის ქსოვილის შეცვლა შემაერთებელი ქსოვილით – ვითარდება ფიბროზი. თუ დროზე არ მივიღებთ ზომებს, დაავადება შეიძლება გადაიზარდოს ციროზში ან ღვიძლის კიბოში.

**მითი 5. ღვიძლის დაავადების მორჩენა შეუძლებელია. იგი შეუქცევადია.**

სინამდვილეში ღვიძლს შეუძლია რეგენერაცია. ჰეპატოციტები – ღვიძლის უჯრედები – შესანიშნავად ახდენენ განახლებას. მაშინაც კი, თუ ზიანდება ღვიძლის ქსოვილის 50 პროცენტი, ჯანმრთელობა შეიძლება მთლიანად დაუბრუნდეს ამ ორგანოს. თუ უარს ვიტყვით ალკოჰოლზე, ცხიმიან და მაღალკალორიულ საკვებზე, მივიღებთ ღვიძლის მუშაობის გამაუმჯობესებელ პრეპარატებს (ჰეპატოპროტექტორებს), მას შეუძლია აღდგენა და რეაბილიტაცია.

### დავიმახსოვროთ

**ღვიძლის სიჯანსაღის შენარჩუნებისთვის აუცილებელია:**

- განვტვირთოთ იგი დიეტის დახმარებით, რომელიც გამორიცხავს შემწვარ, ცხარე, მლაშე საკვებს;
- გავზარდოთ საკვების მიღების ოდენობა დღეში 5-6-მდე, თავად ულუფები კი შევამციროთ;
- გავზარდოთ მცენარეული და შევამციროთ ცხოველური ცხიმების ხვედრითი წილი რაციონში, რითაც უზრუნველვყოფთ ცხიმებით უჯერი სასარგებლო მჟავების შემოსვლას.
- მინიმუმამდე დავიყვანოთ ისეთი პროდუქტები, როგორებიცაა კარაქი, არაჟანი, ყველი, მათ ნაცვლად რაციონში შევიტანოთ გაუცხიმოვნებული ხაჭო, რძე, იოგურტი, კეფირი, მაწონი;
- ღორის და საქონლის ცხიმიანი ხორცი შევცვალოთ ხბოს მჭლე ხორცით, ქათმის მკერდი ვჭამოთ უკანოდ (მასში ბევრი ქოლესტერინია);
- რაციონიდან გამოვრიცხოთ თევზის ცხიმიანი ჯიშები; ხეკი, მინტაი, ვირთევზა (ე.წ. ტრესკა), პიშკა სასურველიც კია;
- შევამციროთ მარტივი, „სწრაფი" ნახშირწყლების (შაქარი, თეთრი პური, ნამცხვარი, ტორტი და ღვეზელი) ოდენობა, შევცვალოთ ისინი მარტივით: მარცვლეულის ფაფებით, პურის მაგარი ხარისხის მაკარონით, დაჭრილი პურით;
- საკვების ყოველ მიღებაზე უნდა ვჭამოთ სულ ცოტა 200 გრამი მწვანილი, ახალი ბოსტნეული და ხილი, რომლებიც შეიცავენ ვიტამინებსა და ღირებულ საკვებ ბოჭკოებს, გვანიჭებენ დანაყრების შეგრძნებას, ამ დროს არსებითად ამცირებენ რაციონის კალორიულობას;
- მაიონეზის ნაცვლად სალათები უნდა გავაზავოთ უცხიმო იოგურტით ან ლიმნის წვენით – ზეითუნის ზეთის მცირე დამატებით;
- მივიღოთ სამკურნალო პრეპარატები, რომლებიც ორგანოს იცავენ, – ჰეპატოპროტექტორები. მაგალითად, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ღვიძლის ექსტაქტის საფუძველზე დამზადებული, რომელიც შეიცავს ღვიძლის დაცვისთვის საჭირო მიკრო და მაკროელემენტებს და ვიტამინ B-12. ეს ნივთიერებანი ხელს უწყობენ ზედმეტი ცხიმის გამოყვანას ღვიძლიდან, ახდენენ ჰეპატოციტების შემაერთებელი ქსოვილის ჩამოყალიბებას ღვიძლში, რაც ზრდის მათ დაცვას, სტიმულს აძლევს ღვიძლის უჯრედების დაყოფას, აუმჯობესებს ღვიძლის სისხლის მიმოქცევას.

## ცინცხალი ანეკდოტები

– **ჩემამდე** ვინმე გყავდა? – ეკითხება პეტკა ქალს.

– კი.

– რამდენი?

– შვიდი.

– აბა, რომ მეუბნებოდი, ორიო?

– ეს რომ გითხარი, მას მერე ხომ წელიწადი გავიდა.

* * *



– **უკვე** მეორე ნახვრეტიც გავიკეთე ყურში, – ეუბნება ქერა ლამაზმანი დაქალს.

– ახლა უკეთ გესმის?

* * *

– **ეი**, შენ, რა ტიპის კაცი ხარ! ხუთი დოლარი გაჩუქე, შენ კი მადლობაც არ გითქვამს! – საყვედურობს ახალი ქართველი მათხოვარს.

– შენ რა, გარეკე? შენი მათხოვრული ხუთი დოლარის გამო სასწაული უნდა მოვახდინო? მე ხომ ყრუ-მუნჯი ვარ.

* * *

**დოსტოევსკი** რომ დღეს მწერლობდეს, მის რომანს დაერქმეოდა „დანაშაული და კანარის კუნძულები".

## გვეკითხებიან – ვუპასუხებთ



### რომელი სპორტი ავირჩიოთ?

**მაქვს მაღალი არტერიული წნევა. შეიძლება, რომ ვივარჯიშო ფიტნესით? სპორტის რომელი სახეობა უფრო გამომადგება და როგორ გავითვალო სწორად დატვირთვა?**

**ვენერა, თელავი**

**გვიპასუხებს ექიმი-კარდიოლოგი ელენე თუთბერიძე:**

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად აკონტროლებთ საკუთარ სისხლის წნევას. თუ საკითხი შეეხება თავდაპირველ, წნევის ზომიერად გაზრდას, მაშინ ფიზიკური დატვირთვები სწორ დიეტასთან შეხამებით მხოლოდ სასარგებლოა. ცურვა, ველოტრენაჟორი, სიარული, ზომიერი სირბილი – ასეთია აერობული ფიზიკური დატვირთვის მაგალითები. ფიზიკური დატვირთვისა და ადეკვატურობის ხარისხი განისაზღვრება გულის ცემის სიხშირით: ასაკის შესაბამისად – ესაა 120-140 დარტყმა წუთში მისი პიკის დროს.

სტაბილური გაზრდილი არტერიული წნევაც კი, რაც წამლის მუდმივ მიღებას ითხოვს, არ არის საწინააღმდეგოდ მაჩვენებელი ფიზიკური დატვირთვისთვის, მთავარი ისაა, რამდენად ადაპტირებული ბრძანდებით მისდამი.

### ბომბი არ აფეთქდება

**მოვისმინე, რომ კვერცხი – ეს ნამდვილი ქოლესტერინული ბომბიაო. იქნებ, მასზე უარი უნდა ვთქვათ?**

**მარინე, გორი**



**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნათელა პარლაგაშვილი:**

– ეს მთლად ასე არაა. კვერცხმა თავისი თავის რეაბილიტაცია მოახდინა. აღმოჩნდა, რომ იგი არავითარ გავლენას არ ახდენს გულის დაავადებათა წარმოქმნის რისკზე. საქმე ისაა, რომ პირველი გამოკვლევები, რომლებმაც აჩვენეს, რომ კვერცხი სისხლში მავნე ქოლესტერინის დონეს ზრდის, ეწყობოდა ადამიანებზე, ვის საუზმეშიც იყო ერბოკვერცი ბეკონით. ესე იგი საქმე შეეხებოდა არა ერბოკვერცხს, არამედ ცხოველურ ცხიმებს, რომელზეც კერძს ამზადებდნენ.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

უაკ(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურამ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24